CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

6

N3/3319/ 8-11 იანვარი 2016 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## კვირიკაშვილის პირველი საკადრო შეცდომა?

რა კითხვები აქვთ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაბრუნებულ დავით ზალკალიანთან?



5

ნორვეგიული მედია — ქართველი დიპლომატები პარკინგის დავალიანებით ოსლოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის ლიდერობენ




12

„თუ თქვენი ავტომობილის კარში მონეტას აღმოაჩენთ, იმოქმედეთ დაუყოვნებლივ!“



13

## ვინ და რატომ გალანძღა პატრიარქი შობა დღეს და რა საკითხებზე მუშაობს საპატრიარქო?



13

## ზაზა ხატიაშვილი: „უკვე ისე ვითარდება მოვლენები, ივანიშვილი იცავს დამნაშავეებს“



3

ია ფარულავა უცენზურო გადაცემით გამოჩნდება?



11

მიშა გომიაშვილი პატრიარქის შეურაცხმყოფელებს ემუქრება — „ვინც პატრიარქზე ცუდს იტყვის, დედებს მოვ...“



3

## თქვე კაი ხალხო, სექტემბერში დაფუძნდით, ოქტომბერში მუშაობის უფლება შეგიჩერეს და რა ანაზღაურებას ითხოვთ?

რაში ითხოვს საბანკო ზედამხედველობის საბჭო ხელფასებს?



11

# ნორიოში მომხდარი ტრაგედიის დეტალები — ავარიამ ოჯახის 4 წევრი იმსხვერპლა

3 იანვარს, გამთენიისას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოსთან საშინელი ავტოკატასტროფა მოხდა – ორი ავტომობილის შეჯახების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა, მათგან 4 ერთი ოჯახის წევრი.

საგზაო შემთხვევის დროს ავტომობილში ოჯახის დიასახლისი, 53 წლის მანანა გოგოლაძე, შვილებთან ერთად, 25 და 23 წლის ცოტნე და ნატო ცოფურაშვილებთან ერთად, იმყოფებოდა, მათთან ერთად იყო ასევე მანანა გოგოლაძის დისშვილი, 22 წლის ცოტნე აფციაური.



როგორც ნორიოს რწმუნებული ანტონ მამუკაშვილი ამბობს, ნორიოში მცხოვრები ცოფურაშვილების ოჯახი სოფელ გამარჯვებიდან სახლში ბრუნდებოდა, რა დროსაც საპირისპირო მხრიდან მომავალი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა და ხევში გადავარდა. მამუკაშვილის ინფორმაციით, ცოფურაშვილები „ჟიგულის" მარკის (07-ით) ავტომობილით გადაადგილდებოდნენ.

– ცოფურაშვილები სტუმრად დეიდასთან იმყოფებოდნენ. დეიდაშვილიც თან წამოჰყოლია. როდესაც სახლში ბრუნდებოდნენ, სოფელთან ახლოს უკვე ეს ამბავი შეემთხვათ. ამათგან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობას ადგილი არ ჰქონია. ისინი 07-ის მარკის ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. როგორც ითქვა, საპირისპირო მხრიდან მომავალი ავტომობილის მიზეზით მოხდა ავარია, რადგან ამბობენ, რომ მძღოლი ნასვამი იყო, – განაცხადა მამუკაშვილმა.

**ანტონ მამუკაშვილი:**

– საშინელი ტრაგედია დატრიალდა, თითქმის მთელი ოჯახი შეეწირა ავტოავარიას – 53 წლის მანანა გოგოლაძე და მისი შვილები – 25 და 23 წლის ცოტნე და ნატო ცოფურაშვილები. საუკეთესო ბავშვები – ბიჭი მუშაობდა, გოგონა სწავლობდა. მათთან ერთად მათი დეიდაშვილი, 22 წლის ცოტნე აფციაურიც დაიღუპა. ტრაგედია არა მხოლოდ ოჯახში ტრიალებს, არამედ სოფელშიც, ამ უბედურების გააზრება ძალიან ძნელია. ცოფურაშვილების მამა მთლიანად გათიშულია, თითქოს ვერც აღიქვამს გარშემო რაც ხდება.

**– რა გარემოებაში მოხდა ეს უბედურება?**

– ჩვენი სოფლიდან ცოფურაშვილები სოფელ გამარჯვებაში წასულან დეიდასთან ახალი წლის მისალოცად, უკანა გზაზე ახალგაზრდებს თავისი ტოლი დეიდაშვილიც გამოჰყვათ. ერთად ყოფნა და საახალწლო სიხარულის გაზიარება უნდოდათ, ასე საშინლად კი დამთავრდა ყველაფერი.

ცოფურაშვილები ლოჭინის ხიდს გადმოსცდნენ და ნორიოს ხევთან დაეჯახათ გლდანიდან მომავალი მანქანა. ორივე მანქანა მგზავრებიანად ხევში გადაიჩეხა. ნორიოს ხევი, ალბათ, 5-6 მეტრი სიმაღლის იქნება, ხეებით არის სავსე. ზოგჯერ სასწაულიც მომხდარა და ხევში გადავარდნილი მანქანა ხესაც შეუჩერებია, მაგრამ ამ შემთხვევაში სასწაული არ მოხდა, საუბედუროდ. ცოფურაშვილები ძალიან ძველ, ჟიგულის მარკის „გაზ 07"-ით გადაადგილდებოდნენ, მოპირდაპირე მხრიდან მოძრავ ავტომობილში კი, როგორც ამბობენ, საპატრულო პოლიციის სამი თანამშრომელი იჯდა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ. სამივე ახალგაზრდა გარდაიცვალა.

**– გავრცელებული ინფორმაციით, ტრაგედიამ 6 ადამიანი შეიწირა.**

– 5 მათგანი ადგილზე, ხევშივე გარდაიცვალა, ერთი საავადმყოფოში მიყვანისას, მეშვიდემ კიდევ რამდენიმე საათი იცოცხლა, ინფორმაციაც ამიტომ გავრცელდა ასე. ნეტავ კი გადარჩენილიყო ერთი კაცი მაინც.

შსს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით არის აღძრული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც 2 ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (kvira.ge; kvirispalitra.ge)

# ესპანეთში ქართველებმა ქართველები მოკლეს — რა კავშირშია სისხლიან გარჩევასთან „კახა რუსთაველი"



ესპანეთში მოკლული ქართველების ვინაობა ცნობილი გახდა – ახალი წლის ღამეს ესპანეთის ქალაქ ტერასაში, საკუთარ სახლში გელა გალიშვილი და გოჩა კაკალაშვილი ქართველებმა მოკლეს.

ცნობილი გახდა ისიც, რომ გარდაცვლილები ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების, ძმების – კახა შუშანაშვილის, იმავე „კახა რუსთავსკის" და ლაშა შუშანაშვილის ახლობლები არიან.

ესპანეთში მცხოვრები ქართველები ვარაუდობენ, რომ მკვლელობა კრიმინალურ გარჩევას უკავშირდება.

როგორც „კვირას" ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა განუცხადა, მოკლული გოჩა კაკალაშვილი



რუსთავიდან იყო, გელა გალიშვილი კი – თბილისიდან. მისივე ინფორმაციით, გალიშვილი და კაკალაშვილი ესპანეთში რამდენიმე წელია ცხოვრობენ.

კატალონიაში საქართველოს ორი მოქალაქის მკვლელობის ფაქტს ესპანეთის სამეფოს ეროვნული პოლიცია ოფიციალურად ადასტურებს. როგორც უწყებაში აცხადებენ, ამ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. მათივე თქმით, ესპანელ სამართალდამცველებთან მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს პოლიციის ატაშე ესპანეთის სამეფოში.



შეგახსენებთ, რომ კატალონიაში ახალი წლის ღამეს ორი ქართველი მოკლეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დანაშაული ტერასაში, ბარსელონასთან ახლოს მოხდა. მედიის ინფორმაციით, მკვლელობის მოტივი, სავარაუდოდ, ანგარიშსწორება იყო. გარდაცვლილებს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობები თავის არეში აღენიშნებოდათ. ორი ქართველის მკვლელობა იმ ბინაში მოხდა, სადაც, მათ გარდა, კიდევ სამი ქართველი ცხოვრობდა. დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები, სროლის შემდეგ აივნიდან გადახტნენ და მიიმალნენ. პოლიციამ ისინი უკვე დააკავა. ადგილობრივი პოლიცია კიდევ ერთ პირს ეძებს. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რა ღირს ერთი ბარელი ნავთობის მოპოვება?




ნავთობის ფასის მკვეთრმა დაცემამ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა დააზარალა, თუმცა ყველაზე მეტად ფასების ვარდნა ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებზე აისახა უარყოფითად.

ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის მოპოვება ბევრ ქვეყანას დღესდღეობით უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მისი გაყიდვა.

დღევანდელი მონაცემებით, ერთი ბარელი ნავთობის ღირებულება 38 აშშ დოლარს შეადგენს მაშინ, როცა მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ერთი ბარელის მოპოვება 52,50 დოლარი, ბრაზილიაში – 49, კანადაში კი – 41 დოლარი ჯდება.

ერთი ბარელი ნავთობის მოსაპოვებლად ამერიკაში საშუალოდ 36 დოლარია საჭირო – ეს მაჩვენებელი ნავთობის საბაზრო ღირებულებაზე დაბალია.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე „შავი ოქროს" მოპოვების პროცესი უფრო ძვირად ღირებულია, ვიდრე მისი საბაზრო ფასი, მსოფლიოს წამყვანმა ენერგეტიკულმა კომპანიებმა გადაწყვიტეს, შეამცირონ ნავთობის მოპოვების მოცულობა იმ ქვეყნებში, სადაც ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე მოგება.

მეორე მხრივ, საუდის არაბეთსა და ქუვეითს ერთი ბარელი ნავთობის ამოტუმბვა საშუალოდ 10 დოლარზე ნაკლები უჯდება, ირანს კი – 10,70 დოლარი. ამ მხრივ, სპარსეთის ყურის ქვეყნების პოზიციები გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების.

ნავთობის ფასმა დაცემა 2014 წელს დაიწყო, როცა ოპეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, არ შეემცირებინათ ნავთობის მოპოვების მოცულობა. მათ ეს გადაწყვეტილება ბაზარზე გადაჭარბებული შემოთავაზების მიუხედავად მიიღეს.

ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ოპეკ-ის ეს ნაბიჯი განპირობებულია სურვილით, გააძევონ ბაზრიდან ქვეყნები, სადაც ნავთობის მოპოვება ძვირად ღირებული პროცესია.

მაგრამ ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემა შეეხო ოპეკ-ის ყველაზე ძლიერ წევრ სახელმწიფოებსაც. როგორც გასული წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ ბარელის ფასი 50 აშშ დოლარამდე არ გაიზრდება, უახლოეს 5 წელიწადში ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების, მათ შორის საუდის არაბეთის, ომანისა და ბაჰრეინის სავალუტო რეზერვები ამოიწურება. (bpn.ge)

# „პატრიარქზე აუგი არც დედაჩემისგან მსმენია, არც მამაჩემისგან" — ირაკლი კაკაბაძე დის განცხადებას ეხმაურება

ირაკლი კაკაბაძე თავისი დის, ნინია კაკაბაძის განცხადებას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს შესახებ აუგი მის მშობლებს არასდროს დასცდენიათ.



– ერთ პატარა განცხადებას გავაკეთებ დედაჩემთან დაკავშირებით, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია აღარ არის ცოცხალი. უამრავი ადამიანი მირეკავს და მეკითხება, რატომ ლანძღავდა დედაშენი პატრიარქსო? რომ ვეკითხები, ეს სისულელე საიდან მოგივიდათ თავშიო, მეუბნებიან, შენმა დამ ამას ოფიციალური სტატია მიუძღვნაო. მე ჩემი დის მოსაზრებებზე კომენტარების გაკეთებას არ ვაპირებ. უბრალოდ, ამდენი კითხვა რომ ისმება დედაჩემის, ნათია ამირეჯიბის თაობაზე – ამაზე ძალიან ცალსახად და უაპელაციოდ შემიძლია ვთქვა შემდეგი:

პირველ რიგში, დედაჩემისგან არასდროს და არანაირ პირობებში არ გამიგია პატრიარქის განკითხვა მის ავეჯთან ან კიდევ სასახლის რაიმე სხვა მოწყობილობასთან დაკავშირებით. ჩემი გამოცდილებიდან ასეთი რამე არ მომხდარა. უფრო მეტიც, მე შევესწარი ჩემი მშობლების პირველ შეხვედრას პატრიარქთან, თუ არ ვცდები 1978 წლის ზაფხულში, ბათუმში, სადაც მისი უწმინდესობა ეწვია ბებიაჩემის დას, ქალბატონ თამარა ნაკაშიძეს. ამ შეხვედრის შემდეგ ორივე – მამაჩემიც და დედაჩემიც ძალიან ნასიამოვნები იყო და საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა კათალიკოს-პატრიარქს. სხვა შეფასება ჩემი მშობლებისგან პატრიარქის შესახებ მე არასდროს გამიგია.

რა თქმა უნდა, ის მართალია, რომ ნათიას, ისევე როგორც მამაჩემს, ძალიან არ უყვარდათ ბურჟუაზიული ცხოვრების სტილი – იგივე მეშჩანობა, მატერიალიზმი და ვეშჩიზმი. ამაზე ორივე მათგანი თავის წიგნებშიც და საჯარო გამოსვლებშიც ბევრს ლაპარაკობდა. დედაჩემისთვის, ისევე როგორც მამაჩემისთვის, რაღა თქმა უნდა, უკიდურესად მიუღებელი იყო თანამედროვე ცხოვრების სტილი, სადაც ადამიანის გასაქონლება ხდება და ბურჟუაზიული დამოკიდებულებები სჭარბობს. ამ ჭირს ისინი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აკრიტიკებდნენ. ის ღირებულებები, რომლებზეც თანამედროვე პოლიტიკური ისტებლიშმენტი დგას (გამონაკლისების გარდა), მათთვის, რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელი იყო.

რაც შეეხება პატრიარქს, მასზე აუგი სიტყვა არც დედაჩემისგან მსმენია ოდესმე და არც მამაჩემისგან. ვინმეს თუ ამის დამადასტურებელი ფაქტი აქვს, ან ჩანაწერი, მზად ვარ, მოვუსმინო – თუმცა ეჭვი მეპარება ნებისმიერი ასეთი ინსინუაციის ავთენტურობაში. პირიქით, 1979 წელს დედაჩემიც და მამაჩემიც ირანის ისლამურ რევოლუციასაც შეხვდნენ სიხარულით, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ როგორც საბჭოთა, ისე დასავლური მატერიალიზმი არის დამღუპველი კაცობრიობისთვის და მიშელ ფუკოსი არ იყოს, ისინიც ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოს ნამდვილი „სულიერი რევოლუცია" სჭირდება.



თანამედროვე ლიბერალიზმის იდეალი არასდროს ყოფილა არც მამაჩემის და არც დედაჩემის იდეალი. პირიქით, ორივე მათგანის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ხელოვნების ნაწარმოები იყო ლუის ბუნუელის „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი".

ეს არის ჩემი გამოცდილება საკუთარ დედასთან საკმაოდ ახლო მეგობრული ურთიერთობისა, რომელიც მხოლოდ გასულ წელს შეწყდა. ამ გამოცდილების საბუთად შემიძლია მოვიყვანო მათი ნაშრომები და საჯარო გამოსვლები, სადაც ისინი ყველაზე მეტად ბერდიაევის სტილის ეგზისტენციალიზმის სულს ეთანხმებოდნენ და არამც და არამც საბჭოთა ან ბურჟუა მატერიალიზმის სულს. სხვა ადამიანების გამოცდილებაზე მე პასუხს ვერ ვაგებ. და არც ის ვიცი, რა საბუთებს ეყრდნობიან ისინი, როდესაც გარდაცვლილი ადამიანების სახელით საუბრობენ. მეტ კომენტარს მე აღარ გავაკეთებ, – აღნიშნავს ირაკლი კაკაბაძე. (რეპორტიორი)



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


# ზაზა ხატიაშვილი: „უკვე ისე ვითარდება მოვლენები, ივანიშვილი იცავს დამნაშავეებს“



„როდესაც „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ნებისმიერი მოსამართლისთვის რომ ეთქვათ: აბა, ახლა დაწერე, რომელ განაჩენზე ვინ დაგირეკა და რა დავალება მოგცაო, ეგრევე დაიწყებდნენ ერთმანეთის „ჩაშვებას“. მოსამართლეებს უკვე ჩალაგებული ჰქონდათ ჩემოდნები და უკანკალებდათ ერთი ადგილი“

*„ალიას“ 5 იანვრის ნომერში გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით: „რატომ ალაპარაკდა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი“? ამავე სტატიაში ვწერდით, როგორი დაპირისპირებაა დღეს ქართულ სასამართლო სისტემაში, რატომ ითხოვს იგივე მამუკა ახვლედიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძის გადადგომას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაშლას. თურმე ის ვერ ხედავს ვერანაირ განვითარებას ვერც ამ უზენაესი სასამართლოს პირობებში და ვერც ამ საბჭოს პირობებში, ვერც ერთმა ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. 4 იანვარს გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა, სადაც ახვლედიანის განცხადებები უნდა განეხილათ, თუმცა ის სხდომაზე არ მივიდა. ამის შემდეგ კი გადაწყდა, რომ თავად გვენეტაძე მივიდოდა საქალაქო სასამართლოში იუსტიციის საბჭოს წევრებთან ერთად და მივიდა კიდეც. ახვლედიანი იმასაც ამტკიცებს, რომ ვინაიდან დღეს არ არსებობს მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმები, სასამართლოში არსებობს კლანები. თუმცა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს და აქეთ მოგვიწოდებს, კარგად შევისწავლოთ მოსამართლეთა ბიოგრაფიები, გავარკვიოთ, ვინ საიდან მოდის, ვინ ვის ინტერესებს იცავს და მივხვდებით, რაზეა საუბარი.*

*როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა „ალიასთან“ საუბარში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები — ევა გოცირიძე, ვახტანგ თორდია და კახა სოფრომაძე (ეს ადამიანები კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით მოხვდნენ საბჭოში), რომელთა მეცადინეობითაც ლევან მურუსიძე დაინიშნა სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ, ატარებენ დღევანდელი ხელისუფლების ინტერესებს და ღიად ებრძვიან ნინო გვენეტაძეს. სწორედ ამიტომაც გაამწესეს მურუსიძე ადმინისტრაციულ პალატაში, რომელიც იხილავს საარჩევნო დავებს და წარმოადგენს ბოლო ინსტანციას. ხატიაშვილის თქმით, მოხდა ბინძური გარიგება ოდიოზურ მოსამართლეებსა და ხელისუფლებას შორის, ხოლო ბიძინა ივანიშვილი იმიტომ აქებს მურუსიძეს, რომ მისი იმედი აქვს, საარჩენო დავები სააპელაციოში „ოცნების“ სასარგებლოდ გადაწყდება.*

**აქ ჩნდება კითხვები: ალბათ, გახსოვთ, 2013 წლის აპრილში ვანო მერაბიშვილმა ძალოვან სტრუქტურებში და სასამართლოებში მომუშავე თავის „მრევლს“ მოუწოდა, ნებისმიერი მეთოდითა და ფორმით შეინარჩუნეთ სამსახურები, თუ მოახერხებთ, დაწინაურდით კიდეც, ჩვენ მალე დავბრუნდებითო. ახლა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამათი დაბრუნება უკვე ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ რა იცით, რა ხდება, ერთხელ და ორჯერ მოგვისმენია, „ოცნება“ „ნაციონალების“ კადრებს უფრთხილდება და აწინაურებს კიდეცო? იქნებ მურუსიძეც ერთ-ერთი მათგანია? შემდეგი — დავუშვათ, ბიძინა ივანიშვილმა ნდობა გამოუცხადა ლევან მურუსიძეს, მაგრამ როდესაც ცნობილია, რომ მერაბიშვილს კომპრომატები ჰქონდა თითქმის ყველას წინააღმდეგ, მათ შორის თავის მხარდამჭერებსა და დავალებების შემსრულებლებზეც, რა გარანტია აქვს ივანიშვილს, რომ მურუსიძე არ „გადააგდებს“ და „ნაცლიდერების“ დავალებას არ შეასრულებს?**

ამაზე **ზაზა ხატიაშვილი** „ალიასთან“ ასეთ განმარტებებს აკეთებს:

– კი, მე კარგად მახსოვს მერაბიშვილის დანაბარები, მაგრამ რაც შემდგომში მოხდა, ვერანაირად ვერ დავუკავშირებ მერაბიშვილს. ეს ადამიანი ზის ციხეში და თავისი ცოდვებიც ეყოფა. როდესაც „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ნებისმიერი მოსამართლისთვის რომ ეთქვათ: აბა, ახლა დაწერე, რომელ განაჩენზე ვინ დაგირეკა და რა დავალება მოგცაო, ეგრევე დაიწყებდნენ ერთმანეთის „ჩაშვებას“. მოსამართლეებს უკვე ჩალაგებული ჰქონდათ ჩემოდნები და უკანკალებდათ ერთი ადგილი. მეორე უცნაური ფაქტი: 2012 წლის ნოემბერში ვადა გასდიოდა რამდენიმე მოსამართლეს, მათ შორის, სააპელაციოს თავმჯდომარეს, ვალერი ცერცვაძეს, მაგრამ 5 ოქტომბერს შეიკრიბნენ და ვადები გაიგრძელეს თვითნებურად. ეს მე გავასაჩივრე იუსტიციის საბჭოში, რამდენიმე სხდომაც ჩატარდა, მაგრამ დაადგინეს, ჩვენ კანონი არ დაგვირღვევიაო. ამ ხელისუფლებას იუსტიციის საბჭოს წინააღმდეგ ჰქონდა ძალიან ბევრი ბერკეტი, რათა ყველა დაეკითხათ და საქმისთვის სამართლებრივი მსვლელობა მიეცათ. ბოლოს და ბოლოს, ეთქვათ, ამ ხალხს ვადა ნოემბერში გასდის, ოქტომბრის დასაწყისში ხელახლა რანაირად ნიშნავთო? როდესაც ნინო გვენეტაძე გახდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ჩაატარეს მოკვლევა, იუსტიციის საბჭოს არსებობის განმავლობაში ყოფილა თუ არა მსგავსი ფაქტი? აღმოჩნდა, რომ არ ყოფილა. გამოდის, ეს საბჭო უკვე იყო ავტორიტეტშელახული და დამნაშავე.

**— სხვათა შორის, ჩვენ ამ თემაზე ძალიან ხშირად ვწერდით.**

– კი, მახსოვს, რომ წერდით... მე პირადად თეა წულუკიან-მურუსიძისას წარვუდგინე რამდენიმე მტკიცებულება, სადაც იკვეთებოდა მოსამართლეების დანაშაული. დაფიქსირებული იყო დოკუმენტურად, როგორ გამოჰქონდათ ერთ დღეში გადაწყვეტილებები. უგულავას საქმე 9 თვეში ვერ განიხილეს და სხვა საქმეებს ერთ დღეში ორი ინსტანცია როგორ იხილავდა? მოკლედ, ასეთი მოსამართლეები ამათ ეჭირათ ხელში, ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ხმას ვერ ამოიღებდა, ამ დამნაშავეებს რატომ იჭერთო. ყველაფერი უნდა მომხდარიყო სამართლებრივი პროცედურებით და არა სააკაშვილის მეთოდებით. მე თეა წულუკიანზე რატომ გავმწარდი? როდესაც შევხვდი, ვუთხარი, პროკურორებს რომ საქმეები შეჰქონდათ, მოსამართლეები ბეჭედს ურტყამდნენ წაუკითხავად. თუ პროკურატურას რამე შეეშლებოდა, მოსამართლეებს ავტომატურად გადაჰქონდათ განაჩენში, საერთოდ არ უყურებდნენ, რა ეწერა. ესეც ვანო მერაბიშვილმა დაუტოვა „ქართულ ოცნებას“ ანდერძად?! გეუბნები, გარიგება მოხდა პირველივე თვეებში, ერთი თვის დანიშნული იყო ივანიშვილი, როცა მურუსიძეს შეხვდა და უთხრა, შენისთანა პატიოსანი კაცი ჯერ არ გამიცნიაო. არ ვიცი, შეიძლება ეს გარიგება 2012 წლის არჩევნებამდეც მოხდა. უბრალოდ, უკვე ისე ვითარდება მოვლენები, ივანიშვილი იცავს დამნაშავეებს.

**— ზაზა, რა გარანტია აქვს ივანიშვილს, რომ მურუსიძე მისი ერთგული იქნება?**

– არ ვიცი, ეგ იმასაც ამბობდა, კოტე კუბლაშვილი გამოსწორდებაო და ენდო. შედეგი რა იქნება, ამას ვნახავთ. ახლა იძახიან, მურუსიძეზე რაღაც კომპრომატი აქვთ და ბინძურ საქმეებს იძულებით გააკეთებინებენო, შეიძლება რამე ჩანაწერიც ჰქონდეთო. ჩანაწერი რად უნდათ, მთელი მისი მოღვაწეობა კომპრომატია, მისი გადაწყვეტილებები დანაშაულის მწვერვალია. გარიგების შესახებ ინფორმაცია თეა წულუკიანმა უნებლიეთ დაადასტურა: ჩვენ ვფიქრობდით, იმ გზით წავსულიყავით, რომ ესენი ციხეში ჩაგვეყარა, თუ დაემთავრებინათ ვადა და მერე გაგვეშვაო? ჰოდა, გადავწყვიტეთ, ვადა დაემთავრებინათო. იმას აღარ ამბობს, ზოგიერთზე რომ შეთანხმდნენ, ვადას გაგიგრძელებთო. შენ რა უფლება გაქვს, მოილაპარაკო და კანონზე მაღლა დადგე?!

**— მამუკა ახვლედიანმა ახსენა კლანები სასამართლო სისტემაში, თან მოგვიწოდა, მოსამართლეების ბიოგრაფიები ნახეთ და მიხვდებით, ვისი ინტერესები სად იკვეთებაო. მე არ დამეზარა, ყველა მოსამართლის ბიოგრაფია შევისწავლე და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა მოქმედი მოსამართლე სააკაშვილის მიერ არის დანიშნული. გამოდის, ისევ „ნაციონალური“ კლანია, აქ ახვლედიანი წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდება?**

– საერთოდ, თავიდანვე საჭირო იყო იუსტიციის საბჭოს რეფორმირება, რეფორმა ჩააგდო თეა წულუკიანმა ბიძინა ივანიშვილის მითითებით. აქ გარიგება მოხდა ძველ კლანთან და ამიტომაც რჩებიან ოდიოზური ფიგურები მოსამართლეებად, ახალ კლანზე არ არის საუბარი. „ქართული ოცნება“ ისევ დაეყრდნო იმ ძალას, რამაც სააკაშვილის ხელისუფლება რეჟიმად აქცია.

**უფრო თვალნათელი რომ გახდეს, რა ხდება სასამართლო სისტემაში და ვინ შეიძლება ეგულისხმა ახვლედიანს, გთავაზობთ იმ მოსამართლეების სიას, რომლებიც პირდაპირ „ბანაობდნენ“ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში. ბუნებრივია, ჩვენ ყველაზე ვერ ვიტყვით აუგს, არსებობდნენ გამონაკლისებიც, მაგრამ, როდესაც მამუკა ახვლედიანი კლანებზე ლაპარაკობს, მაშინ, წესით, ამ ხელისუფლებას სასამართლოში უნდა მოეყვანა გაუსვრელი ადამიანები და არ შეენარჩუნებინა ზურაბ ადეიშვილის კადრები.**

**თბილისის საქალაქო სასამართლო, სისხლის სამართალი: მამუკა ახვლედიანი (თავმჯდომარე) ხათუნა ხარჩილავა, ნინო ნაჭყებია, მაია შოშიაშვილი, ქეთევან ჯაჭვაძე, შორენა გუნცაძე, ბადრი კოჭლამაზაშვილი, ნატო ხუჯაძე, ბადრი შონია, ბესიკ ბუგიანიშვილი, არსენ კალატოზიშვილი, ლელა შკუბულიანი, დალი მეტრეველი, ეკა არეშიძე, ლაშა ჩხიკვაძე, მერაბ ჯორბენაძე, ნინო ელიეშვილი, ლია ორკოდაშვილი, გიორგი არევაძე, ლელა ნოზაძე, გიორგი დარახველიძე, ვახტანგ მრელაშვილი, გოგიტა თოთოსაშვილი, დავით მგელიაშვილი, მაია ქოქიაშვილი, ლილი მსხილაძე, ელენე გოგუაძე, დავით კურტანიძე (დანიშნულია 2015 წლის 29 ივლისს), ეკატერინე კულულაშვილი, ეკატერინე გაბრიჩიძე.**

**ადმინისტრაციული სამართალი: გიორგი მიქაუტაძე, თამარ ონიანი, მირანდა ერემაძე, ნანა დარასელია, ინგა კვაჭანტირაძე, ნინო ყანჩაველი, ნათია ჯორბენაძე, ილონა თოდუა, ხატია არდაზიშვილი, ნათია ბუსკაძე, ნინო ბუაჩიძე, ეკატერინე ჯინჭველაშვილი, ნინო ჭალიძე, მერი გულუაშვილი, ლეილა მამულაშვილი, თამარ მეშველიანი, დიანა ფარქოსაძე, ანა ჩხეტია, დავით წერეთელი (დაინიშნა 2015 წლის აგვისტოში), თამარ ოქროპირიძე, ნანა აფციაური (დაინიშნა 2015 წლის აგვისტოში), ქეთევან მინაშვილი.**

**სამოქალაქო სამართალი: გიორგი ებანოიძე, ლია ავალიშვილი, ცისანა სირბილაძე, გიორგი მაისურაძე, ქეთევან მამაცაშვილი, თეა ხამხაძე, ეკატერინე ბიწაძე (დაინიშნა 2012 წელს), ეკა ზარნაძე, ზაზა მარტიაშვილი, მაია სვიანიძე, გიორგი სულაკაძე, ვლადიმერ კაკაბაძე, ლეილა კოხრეიძე, ბესიკ სისვაძე, შორენა ჯანხოთელი, ელისო ტუკვაძე, თამარ ჩიხლაძე, ლაშა ქოჩიაშვილი, მაკა ჭედია, ასმათ კოხრეიძე, დიანა ბერეკაშვილი, ეკატერინე ცისკარიძე, სოსო ღურწკაია, დალი აბჟანდაძე, თამარ ჭუნიაშვილი, თამაზ ურთმელიძე, ტარიელ ტაბატაძე, ანა ჩოგოვაძე (დაინიშნა 2015 წლის აგვისტოში), ხათუნა კაკაბაძე, მადი ჩანტლაძე, ირაკლი კოპალიანი (დაინიშნა 2015 წლის მაისში), ზოია კვარაცხელია.**

**უზენაესი სასამართლო: ნინო გვენეტაძის მოადგილეები — მზია თოდუა (სააკაშვილის პერიოდში არ უმუშავია), მიხეილ ჩინჩალაძე (2004-2007 წლებში მუშაობდა გენპროკურატურაში, იყო შიდა ქართლის საოლქო პროკურორი, სააკაშვილის მიერ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით). მოსამართლეები: ზაზა მეიშვილი, ლევან მურუსიძე (გადაყვანილია სააპელაციო სასამართლოში), ვასილ როინიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, მაია ვაჩაძე, პაატა ქათამაძე, მაია ოშხარელი, ბესარიონ ალავიძე, ეკატერინე გასიტაშვილი (დანიშნულია 2015 წლის ივნისიდან), ნინო ბაქაქური, ნუგზარ სხირტლაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, პაატა სილაგაძე.**

**სააპელაციო სასამართლო: თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე. მოსამართლეები — მერაბ გაბინაშვილი, ლევან თევზაძე, ირაკლი შენგელია, მანანა ჩოხელი, ნატა ნაზღაიძე, მიხეილ ბებიაშვილი, მერაბ ლომიძე, ნათია ქუთათელაძე, გიორგი მიროტაძე, თეა ძიმისტარაშვილი, გია კახეთელიძე, მაია ივანიძე, გიორგი ჩემია, მაია თეთრაული, ლილი ტყემალაძე, ქეთევან დუგლაძე, გელა ბადრიაშვილი, ბესარიონ ტაბაღუა, ნინო ქადაგიძე, ლეილა მამულაშვილი, ქეთევან მესხიშვილი.**

**როგორც ხედავთ, სასამართლო სისტემაში, სულ რაღაც, ათიოდე ადამიანია, რომელსაც შეხება არ ჰქონია სააკაშვილის რეჟიმთან და არც გადაწყვეტილებები გამოუტანია. თუ რომელიმე კლანზე შეიძლება საუბარი, ეს ჯერჯერობით მხოლოდ „ნაციონალური“ კლანია. სხვათა შორის, ამ მოსამართლეების 80 პროცენტი კონკრეტულად სააკაშვილის პირადი ბრძანებით გახლავთ დანიშნული 2007 წელს და უამრავი მათგანი ღირსების ორდენითაც კი დააჯილდოვა.**

# ნავთობის ფასი ვარდნას განაგრძობს



ბოლო მონაცემებით, მსოფლიო ბაზარზე „ბრენთის“ მარკის ნავთობის ფასი 34 აშშ დოლარზე დაბლა ჩამოვიდა და 33 აშშ დოლარი შეადგინა.

**WTI**-ის მარკის ერთი ბარელი ნავთობის ფასი კი 32,69 აშშ დოლარს შეადგენს.

ფასის ვარდნის ძირითად მიზეზად – ბაზარზე ნავთობის ჭარბი მიწოდება სახელდება. სტატისტიკის თანახმად, რომელიც წინა კვირას გამოქვეყნდა, აშშ-ის ნავთობის რეზერვებმა 1930 წლის შემდეგ მაქსიმალურ დონეს მიაღწია. გარდა ამისა, პარასკევს, შეერთებული შტატების კონგრესმა, პირველად ბოლო 40 წლის განმავლობაში ნავთობის ექსპორტზე არსებული აკრძალვა გააუქმა.

ნავთობის ფასმა ვარდნა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო. ექსპერტები ამის მიზეზად აშშ-სა და ოპეკის ქვეყნებთან, პირველ რიგში, საუდის არაბეთთან „ნავთობის ომს“ უკავშირებენ. (ნიუპოსტი)

# მიშა გომიაშვილი პატრიარქის შეურაცხმყოფელებს ემუქრება — „ვინც პატრიარქზე ცუდს იტყვის, დედებს მოვ...“



რატი ამაღლობელის ლექსს „პატრიარქი გაიყინა“, დიდი გამოხმაურება მოჰყვა და პოეტს დიდი კრიტიკა ხვდა წილად. მოგვიანებით ნინია კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა დედას, რადგან ბავშვობიდან ასწავლიდა, რომ „პატრიარქი უზნეო მეშჩანი იყო“.

მომხდარს „ფეისბუკზე“ მსახიობი მიშა გომიაშვილი გამოეხმაურა.

– ბოდიშს ვიხდი გრამატიკის გამო. ზოგჯერ კლავიშა არ მემორჩილება. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ასეთ საკითხს. მაპატიეთ, ჩემო მეგობრებო! ლექსიკისა გამო. სხვანაირად როგორ უნდა, არ ვიცი. ბოდიში. ბავშვებს არ წააკითხოთ... ეხლა მივმართავ ყველა იმ ნაბოზვარს!!! დედებს მოგიტ...თ!!!! ვინც აწი პატრიარქზე ცუდს იტყვის! თქვენ დედებს მოვ...!

მსახიობის სტატუსს ახალი ინიციატივა მოჰყვა – ზოგიერთი ითხოვს, რომ პატრიარქის შეურაცხმყოფელს ამიერიდან კანონმა გასცეს პასუხი:

„მესმის განწყობა, ბატონო მიშა, ზუსტად მაგას ისახავენ მიზნად, რომ წონასწორობა დაგვაკარგვინონ და ვაგინოთ ან ვცემოთ ან რამე ეგეთი, მაგრამ საკითხი გაცილებით ღრმაა და გინება არ უშველის ამ საქმეს. იგივე ხელწერით მუსლიმანებს აყენებენ შეურაცხყოფას. გახსოვთ კარიკატურები და დახოცილი ჟურნალისტები, ეგ ტილიანი ვითომ პოეტი არ გვებრძვის, გვებრძვის გაცილებით დიდი და ბოროტი ძალები, ეგენი კუკლები, ვითომ პოეტები ახმოვანებენ, უბრალოდ, ამიტომ საკანონმდებლო დონეზე სიწმინდის შეურაცხყოფაზე უნდა იქნას მიღებული ისეთი კანონი, რომ აზრადაც აღარ მოუვიდეთ მსგავსი რამ, იყო ინიციატივა ამ თემაზე და მიჩუმათდა, მგონია, აქეთკენ ჯობია მივმართოთ ენერგია, თორემ მაგათი ბებერი დედების გინება, რა ხეირს მოიტანს, თორემ კი ბატონო, ვაგინოთ“.

ინიციატივას ბევრი ეთანხმება და ფიქრობს, რომ შექმნილი სიტუაციიდან შესანიშნავი გამოსავალი იქნება. (reitingi.ge)

# ნინო გოგუაძე — გიორგი კვირიკაშვილის ლექსიკა იქნება უფრო რბილი, ვიდრე ღარიბაშვილის, მაგრამ სტრატეგიულ საკითხებზე ცვლილებებს არ ველოდები



– გიორგი კვირიკაშვილის ლექსიკა იქნება უფრო რბილი, ვიდრე ღარიბაშვილის, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისთვის სტრატეგიულ საკითხებზე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ველოდები, – ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა ნინო გოგუაძემ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის არჩევის საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

ნინო გოგუაძის თქმით, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ისევე როგორც მთელი კოალიცია, პარლამენტი და მთავრობა ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიერ იმართება.



– თვითონ გიორგი კვირიკაშვილს პირადად მე და ჩემი პარტიაც ვაფასებთ დადებით, გაწონასწორებულ პიროვნებად, რომლისთვისაც უცხო სიძულვილის ენა და საზოგადოებაში სიძულვილის გაჩენის სურვილი უცხოა. ისეთ საოცარ განცხადებებს, საზოგადოების ერთმანეთთან დაპირისპირებისკენ მიმართულს, როგორც მის წინამორბედს სჩვეოდა, პირადად გიორგი კვირიკაშვილისგან არ ველოდებით, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს პარტია, ისევე როგორც მთელი კოალიცია, პარლამენტი და მთავრობა ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ იმართება. ამიტომ რადიკალურ ცვლილებებს არც მთავრობის მოქმედებაში და არც პარლამენტის მუშაობაში ჩვენ არ ველით. ეს არის არაკომპეტენტური მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა და არც იმის უნარი აქვს, აღიაროს, რომ ქვეყანა კრიზისშია. ხოლო პარლამენტი გადაქცეულია ნოტარიუსის კანტორად, რომელიც თავის პირდაპირ კონსტიტუციურ ფუნქციას არ ასრულებს და მთავრობაზე ზედამხედველობას არ ახორციელებს, – განაცხადა ნინო გოგუაძემ.

მისივე თქმით, ინსტიტუტები ქვეყანაში როგორც არ მუშაობდა, ისევ არ იმუშავებს, ეს კი ნიშნავს, რომ თვისობრივად არაფერი შეიცვლება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „დღეს საქართველოში მცირე ბიზნესი უმძიმეს მდგომარეობაშია და არანაირი შეღავათით არ სარგებლობს და ეს მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდებოდა“

„მაღაზიის გახსნა ადვილია, მისი შენარჩუნება კი – ხელოვნება“, – გვეუბნება ჩინური ანდაზა, თუმცა ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება ქართულ რეალობას: ჩვენთან ბიზნესის დაწყება იოლია, მაგრამ მის შენარჩუნებასა და გაფართოებას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ. მცირე ბიზნესის პრობლემებზე საქართველოში ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ დრო გადის, მთავრობები იცვლებიან, პრობლემები კი – პრობლემებად რჩება.

ნინო კ.-ძე უკვე 15 წელია სურსათის მაღაზიის მფლობელია. როგორც ამბობს, ამ 15 წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოიარა, მაგრამ მის საქმიანობაში თითქმის არაფერი შეცვლილა. პრობლემებზე გულახდილად ყვება, თუმცა ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს.

– რაც ჩვენმა მთავრობებმა ამ 15 წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის განვითარებაზე ილაპარაკეს, მეოთხედიც რომ შესრულებულიყო, ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. სიტყვით ყველა ხელისუფლება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე „ზრუნავს“, საქმით კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ამის ბრალია, რომ საქართველოში მცირე მეწარმეობა ვერ ვითარდება. პირადად ჩემი მდგომარეობა ერთ ცნობილ გამონათქვამს მაგონებს: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი – უკან“. დღეს საქართველოში მცირე ბიზნესი უმძიმეს მდგომარეობაშია და არანაირი შეღავათით არ სარგებლობს და ეს მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდებოდა, – გვეუბნება ნინო კ.-ძე.

საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი თამაზ ვაშაკიძეც აცხადებს, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერი გაკეთებულა.

– ვფიქრობ, რომ ამ ხალხის საკეთილდღეოდ თითქმის არაფერი შეცვლილა. საქართველოში ბიზნესს თან წველიან და თან მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფებენ, ოღონდ მისგან როგორმე ფული ამოიღონ. ასე იყო წინა მთავრობების დროს, ასეა დღესაც. სააკაშვილის ხელისუფლების შემდეგაც აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. საქართველოში 150 ათასი სამეწარმეო სუბიექტია, 300 ათასი კი საბიუჯეტო ანგარიშზე მუშაობს. საიდან იღებენ ისინი ხელფასს? – ამ 150 ათასი კაცის შემოსავლიდან. საიდან იღებს 800 ათასი პენსიონერი თავის პენსიას? – ამ 150 ათასი მეწარმის ნაშრომიდან. ბიუჯეტის 82 პროცენტი საგადასახადო სისტემიდან ივსება – ისევ და ისევ მეწარმეების შემოსავლიდან. მე ვიცი არაერთი ფაქტი, როგორ უყადაღებენ მათ ანგარიშებს მხოლოდ იმის გამო, რომ ინფორმაცია დროულად არ მიაწოდეს შესაბამის ორგანოებს. კიდევ ერთ პრობლემაზე უნდა გავამახვილო ყურადღება: დავუშვათ, მე ვარ მეწარმე, ვმუშაობ და დარიცხული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი გადავრიცხე, მაგრამ დეკლარაცია არ წარვადგინე, ანუ საგადასახადო ორგანოს არ ვაცნობე, რის გადასახადი გადავიხადე, ჯარიმა არ ამცდება: პირველ ჯერზე დეკლარაციის შეუვსებლობის გამო ჯარიმა არის 50 ლარი, მეორედ – 75 ლარი, ხოლო მესამედ – 125 ლარი. ამას ემატება ჯარიმა ინფორმაციის არმიწოდებისთვის, რომელიც 100 ლარია – ეს დისკრიმინაციაა, აბა, რა არის?! ამაზე მეტი შევიწროება რაღა უნდა იყოს?!

თამაზ ვაშაკიძის აზრით, ფიქსირებული გადასახადის შემოღება სერიოზულად გაუადვილებდა ყოფას ნებისმიერ მცირე მეწარმეს.

– ხომ შეიძლება ამ ხალხს ფიქსირებული გადასახადი გადაახდევინონ? ყველა თანახმაა და რას დასდევენ უკან სალარო-აპარატებით? უკვე ვთქვი, რომ 150 ათასი სუბიექტი იხდის საბიუჯეტო სფეროს წარმომადგენელთა ხელფასებსა და პენსიებს და მაინც ამ ხალხს ავიწროებენ. ეს მსხვილ ბიზნესსაც ეხება, მაგრამ ამ უკანასკნელს სულ სხვა პრობლემები აქვს. მსხვილი ბიზნესი ხშირად მთავრობასთან არის შეკრული და რას იხდის, ამის შემმოწმებელი არავინაა, მცირე მეწარმეს კი, ბრუნვაც ცოტა აქვს, შემოსავალიც და ამის გამო მისი შემოწმება ადვილია. რად უნდა ამას დეკლარაციები და ზედმეტი ფორმალობა?! – აცხადებს „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი.








ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია სასამართლო სისტემაში არსებულ ბარიერებზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, მეწარმე, რომელიც გადაწყვეტს, სასამართლოს მიმართოს, ხშირად იმედგაცრუებული და დაზარალებული რჩება.

– როდესაც მეწარმე არღვევს საგადასახადო კოდექსის ამა თუ იმ მუხლს, ან ვერ ისტუმრებს ბანკის სესხს, ხშირად ქონებას უყადაღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება აღებული ჰქონდეს ვალი 5 ათასი დოლარის ოდენობით და 50 ათასი დოლარის ქონება დაუყადაღონ, რასაც ყოველთვის მოსდევს განვითარების ბუნებრივი პროცესის შეფერხება, ეს კი, ბიზნესს კლავს. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ საგადასახადო დავებს, პირიქით, მიმაჩნია, რომ ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდა. ლაპარაკია სასამართლო დავებზე, როდესაც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც მხოლოდ მოსამართლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული – სწორედ ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. ამას ემატება ისიც, რომ სასამართლო პროცესები იწელება, საქმე ბევრია, მოსამართლე კი – ცოტა. გამოდის, რომ ეს საწყალი მეწარმე გაჩერებული უნდა იყოს. არც ბანკი და არც უცხოელი ინვესტორი მასთან საქმეს არ დაიჭერს და არის ასე, ერთ წერტილზე გაყინული. თანაც, ეს შეიძლება მოხდეს სულ უმნიშვნელო დარღვევის გამო: კანონის ორმაგი წაკითხვა, კანონში არსებული ორაზროვანი მუხლები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მეწარმეს. და თუ სასამართლოს მიმართავს, შეიძლება აქეთ დააჯარიმონ, ვერც პროცესი მოიგოს და თვითონვე მოუხდეს სოლიდური თანხის დახარჯვა. ამიტომ, მეწარმეს სასამართლოში მსგავსი ბარიერები არ უნდა ხვდებოდეს, – ამბობს ემზარ ჯგერენაია. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ამას ჰქვია „მეშჩანობა“ და „უზნეობა“ — გამზარდია ნინია კაკაბაძის შესახებ და მისი პასუხი



საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, არჩილ გამზარდია საქართველოს პატრიარქის შესახებ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ნინია კაკაბაძეს „ფეისბუკის“ მეშვეობით მიმართავს:

– ნინია კაკაბაძეს უთქვამს, პატრიარქი მეშჩანი და უზნეოაო და ამბავი მოუყოლია, ბავშვობაში დედასთან ერთად მოვხვდით პატრიარქთან ერთად მის სახლში და დედამ მითხრა, ნახე, რა ძვირფასი სახლი აქვს, მეშჩანი და უზნეო გვყავსო.

გამახსენდა, ალბათ, ყველა ჩვენგანს ჰყავს სანაცნობოში ადამიანი, რომელიც ვინმესთან სახლში რომ შედის, კედლებს უყურებს, ჭურჭელს, ვის რა აცვია და ა.შ. და რაც გინდა ხდებოდეს – წვეულება იყოს, პანაშვიდი, დაბადების დღე თუ ჩვეულებრივი შეხვედრა, იქიდან გამოსული მხოლოდ მასპინძლის ქორაობაშია, ეს რა ეცვა, რა თეფში ედო, რა ჭამა და როგორ... აი, ამას ჰქვია „მეშჩანობა“ და „უზნეობა“, ჰოდა, იმ ადამიანს რა დავარქვა, პატრიარქთან რომ არის სტუმრად და კედლებს უყურებს ან თეფშების ფასს უყურებს ან ვინ რას ჭამს და რა აცვია...

აი, ეს არის, ძვირფასო ნინია, „მეშჩანობაცა“ და „უზნეობაც“... ამიტომ ამ კუთხით იქნებ ჯერ საკუთარი თავი გამოგესწორებინა და მერე სხვებზე გელაპარაკა? თორემ თქმაში რა ყრია, ილაპარაკე და იყავი, კანონი არ გზღუდავს, სინდისი არ გზღუდავს, ინტელექტი არ გზღუდავს და თვალსაწიერი, მაგრამ იქნებ უკეთ გაერკვიო, ან მეწვრილმანეობა რა არის ან უზნეობა და თუ მაინცდამაინც გაღელვებს ეს, მხილება საკუთარი თავით დაიწყე, – წერს არჩილ გამზარდია.

გამზარდიას ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით უპასუხა ნინია კაკაბაძემ.

– ეს რა ძვირფასი დებილია, – დაწერა ნინიამ. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მაია ნიკოლეიშვილი: თევზაძის გამონათქვამი მართლაც დიაგნოზია!



სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი ილიაუნის ყოფილი რექტორის განცხადებას შობასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში აფასებს:

– თევზაძის გამონათქვამი მართლაც დიაგნოზია! ფანატიზმი, რელიგიური შეუწყნარებლობა ანტიმართლმადიდებლური ბოდვები მათი და მათი გარშემომყოფი პირების პრობლემაა.

ჩვენ კი ქრისტეშობას ვზეიმობთ! შობას გილოცავთ, მართლმადიდებლებო! – წერს მაია ნიკოლეიშვილი.

ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, გიგი თევზაძის აზრით, დღეს შობის აღნიშვნა ოკუპანტის მხარდაჭერის ტოლფასია. მისი თქმით, ეს დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია:

– არ გეწყინოთ, მაგრამ დღეს, საქართველოში, შობის აღნიშვნა, არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ, – წერს თევზაძე სოციალურ ქსელში. (რეპორტიორი)

# კვირიკაშვილის პირველი საკადრო შეცდომა?

## რა კითხვები აქვთ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დაბრუნებულ დავით ზალკალიანთან?

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დავით ზალკალიანი ინიშნება. მას ეს პოსტი „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ეკავა, მაგრამ როდესაც ალასანიას გუნდმა თანამდებობები დატოვა, ზალკალიანიც გადადგა. საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხეილ ჯანელიძე ზალკალიანს ღირსეულ, პროფესიონალ დიპლომატად აფასებს. ზალკალიანის კანდიდატურას იწონებენ „ოცნების" ლიდერები, გია ვოლსკი და ზვიად კვაჭანტირაძეც მას ასევე გამოცდილ დიპლომატად აფასებენ, „თავისუფალი დემოკრატები" კი კმაყოფილი სახეებით აცხადებენ, კიდევ კარგი, კადრების შერჩევა პროფესიონალური ნიშნით დაიწყესო.

თავად ზალკალიანი აცხადებს, რომ ის პოლიტიკაში აღარ არის და მისი დიპლომატიურ სამსახურში დაბრუნება მისი არჩევანია და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის გადაწყვეტილება: „ვფიქრობ, რომ ეს დიდწილად განსაზღვრა ბოლო პერიოდის ცვლილებებმა და თვისობრივად ახალმა გარემოებამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის შეიქმნა. მხედველობაში მაქვს ძალიან სერიოზული განცხადებები, რომელიც ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთეს და ის ნაბიჯები, რაც ბოლო პერიოდში გადაიდგა. კერძოდ, ის, რომ საქართველომ ძალიან წარმატებით გაართვა თავი ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის იმპლემენტაციას, ასევე ვიზალიბერალიზაციის გადაწყვეტილება არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური გადაწყვეტილება და ეს იყო ევროკავშირის მხრიდან სერიოზული პოლიტიკური გზავნილი, ასევე, საქართველოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯი, რომ ქვეყანა შეუქცევადად ადგას ევროკავშირთან ინტეგრაციის კურსს... 23 წელი კარიერულ დიპლომატიაში ვარ. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერმა ერთად, რაც ჩამოვთვალე, გადაწონა და მე გადავწყვიტე, რომ დიპლომატიურ სამსახურს დავუბრუნდე. ეს არის ის, რამაც ჩემი არჩევანი განაპირობა".

შეგახსენებთ, რომ ზალკალიანმა პოსტი 2014 წლის ნოემბერში დატოვა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ერთად და თავის გადაწყვეტილებას მაშინ ასე ხსნიდა: „მე ვარ დიპლომატი, 2009 წელს დავტოვე ელჩის პოსტი, 2012 წელს როდესაც დავბრუნდი საჯარო სამსახურში, იმედი მქონდა, რომ აღარასოდეს მომიწევდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ გაჩნდა კითხვები ჩვენი ქვეყნის კურსთან დაკავშირებით და მივიღეთ გადაწყვეტილება, დავტოვოთ პოსტები".

ჯერჯერობით, ერთადერთი, ვისაც ზალკალიანთან კითხვები აქვს, კოალიციის წევრი ფრაქცია „ქართული ოცნება – „ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძეა, რომელმაც განაცხადა, რომ დავით ზალკალიანთან მას კონკრეტული კითხვები აქვს და ამ კითხვებს აუცილებლად დაუსვამს.

რა კითხვები აქვს მაისურაძეს ზალკალიანთან?

**„ალიას" თემურ მაისურაძე ესაუბრა:**

– ბატონ დავით ზალკალიანთან მაქვს შეკითხვები, როგორც „ეროვნული ფორუმის" წევრს, მთლიანად „ფორუმის" სახელით არ ვსაუბრობ. მაინტერესებს, რამ განაპირობა თავის დროზე მისი წასვლა და რამ განაპირობა ახლა მისი მოსვლა? ის გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროში და სახელმწიფოს ინტერესი უფრო წინ იდგა მისთვის მაშინ, თუ პარტიული ინტერესი? ახლა რა შეიცვალა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში? ამ კითხვებზე მისგან პასუხი მინდა. რა ვქნა, მაინტერესებს, რა ისეთი ახალი სახელმწიფოებრივი მისია დაინახა თავის ამ პოსტში, რომელიც მან ადრე დატოვა? თუ მაშინ იმავე სახელმწიფოს უფრო მეტად სჭირდებოდა ასეთი პროფესიონალი, მაშინ რატომ იყო მისთვის პარტიული ინტერესი სახელმწიფო ინტერესზე უფრო წინ?

**— უმრავლესობის დეპუტატთა ნაწილი ზალკალიანის დანიშვნას მიესალმება. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია უმრავლესობის წევრების ეს მხარდაჭერა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც თავის დროზე ხელისუფლებას, ერთგვარად, უნდობლობა გამოუცხადა, არასწორ პოლიტიკაში დაადანაშაულა და თანამდებობა დატოვა?**

– არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეს ვამბობ: გარდა იმისა, რომ ადამიანს პროფესიონალური მხარე მოეთხოვება, პირველი და მნიშვნელოვანია ადამიანის ღირსების გრძნობა. პროფესიონალი ადამიანი ცუდსაც და კარგსაც პროფესიონალიზმით გააკეთებს. ამიტომ ამ პროფესიონალიზმის უკან უნდა იყოს ღირსება და სამშობლოს სიყვარული. არჩევანის საკითხი რომ დაუდგება ხვალ რომელიღაც ქვეყანაში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, რას გააკეთებს ის პიროვნება? არ არის ეს ლეგიტიმური შეკითხვა?

**— „ალია" ხშირად წერდა, რომ ჩვენს საელჩოებში ფაქტობრივად, ისევ „ნაციონალების" კადრები იყვნენ და ელჩები სწორედ „ნაციონალების" დაკვეთას ასრულებდნენ, რომ უცხოეთისთვის რაც შეიძლება მეტი ნეგატიური ინფორმაცია მიეწოდებინათ ახალ ხელისუფლებაზე. არც ერთი ეს ელჩი არ შეცვლილა. იმ დროს ზალკალიანი მინისტრის პირველი მოადგილე იყო და თუ თავის დროზე არ დაიცვა მან ქვეყნის საგარეო იმიჯი, ახლა იზამს ამას?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით. საქართველო დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა კი მე ერთ-ერთ მთავარ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიმაჩნია ქვეყნისთვის. რა მაქვს მხედველობაში, იცით? ეს შესაძლებლობები საქართველოს მიერ ან იქნება, ან ვერ იქნება გამოყენებული. თუკი ყველაზე დიდი ქვეყნების ინტერესი დღეს ერთდროულად იკვეთება საქართველოში, ამ დროს ჩვენს სწორ მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მე მინდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც თავიდან ტვინი გადმოსდით და პროფესიონალები არიან, არამედ ის ადამიანები, ვისაც გული უძგერთ ამ ქვეყნისთვის და მათთვის პირველ ადგილს იკავებს სწორედაც რომ სამშობლოს სიყვარული, მერე კი პარტიული და ყველა დანარჩენი. მე ეს ვერ დავინახე ზალკალიანში და ამიტომ მაქვს ეს შეკითხვები. მე მისი დანიშვნის გადაწყვეტილებას არ მივიღებდი, მიუხედავად იმისა, რომ ზალკალიანი პროფესიონალია.

**— ჩავთვალოთ, რომ ეს გადაწყვეტილება კვირიკაშვილის პირველი საკადრო შეცდომაა?**

– ჩემი შეფასებით, ეს ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა და საჭიროა, კიდევ მოვძებნოთ სხვა კანდიდატურები კარგად, არა მგონია, საქართველოში კადრების საკითხი მხოლოდ ზალკალიანზე იდგეს და უკეთესის პოვნა არ შეიძლებოდეს. თუ საქართველოს უკეთესი კადრი არ ჰყავს, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. და კიდევ: კარგი იქნება, კადრები მარტო საკუთარ პარტიაში და ახლო გარემოცვაში კი არ ვეძებოთ, კარგად მიმოვიხედოთ. ნუ იქნება ნურც ერთი პარტიის წევრი, მაგრამ იყოს პროფესიონალი, სამშობლოს მოყვარული და ადამიანი, რომელსაც, ადამიანური ღირსებები აქვს.

**— ხომ არ იცით, კვირიკაშვილსა და ზალკალიანს მეგობრული, ახლობლური კავშირი ხომ არ აქვთ?**

– ამის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი, მაგრამ კარგად ვიცი კვირიკაშვილის მიდგომა – არ უყურებს ადამიანებს ნათესაური თვალსაზრისით, მართლა პროფესიონალებსა და სპეციალისტებს ეძებს. მაგრამ ბატონი გიორგი ამ შემთხვევაში რატომ დგამს ამ ნაბიჯს, რით არის ეს გადაწყვეტილება მოტივირებული? საჩქაროდ არის მისაღები და ველარ ასწრებს სხვის მონახვას თუ რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი.







**„ამ კითხვებზე მისგან პასუხი მინდა. რა ვქნა, მაინტერესებს, რა ისეთი ახალი სახელმწიფოებრივი მისია დაინახა თავის ამ პოსტში, რომელიც მან ადრე დატოვა?"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რობერტ სტურუა: გასაჭირში მყოფს, არც ერთმა კოლეგამ არ დამირეკა...



რეჟისორი რობერტ სტურუა კულტურის სფეროს წარმომადგენლების მხრიდან გიგი უგულავას შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისადმი მიმართვას ამგვარად აფასებს:

„ჰ უ მ ა ნ ი ს ტ ე ბ ი (უ-აზრები)

ყური მოვკარი, თითქოს ცნობილი ქართველი ინტელექტუალები რაღაც პეტიციას აწერენო ხელს. ძალიან გამიკვირდა – საიდან ასეთი ვაჟკაცობა?! ადრე რაღაც არ შემიმჩნევია უსამართლოდ დატყვევებულის დასაცავად აქტიური კნავილიც კი. თუმცა, სად ეცალათ? (ამბობენ, სან-ტროპეზის და მაიამის საკუთარ პლაჟებზე ნებივრობდნენო)

მერე გამახსენდა, ვილაცა ინტელექტუალმა დაწერა, რუმინელი დიქტატორი არ უნდა დაეხვრიტათ ასე არაადამიანურადო.

მე ვყოფილვარ იმ დიქტატორის მმართველობის დროს და ვიცი, რა საშინელ დღეში ჩააგდო თავისი სამშობლო და თავისი ხალხი. რასაკვირველია, ის პოლიტიკოსები საკუთარი ხელით რომ გაუსწორდნენ იმ მურთხ დიქტატორს, ბუნებრივია, მსოფლიოს თვალში სრულიადაც არ გამოიყურებოდნენ ეროვნულ გმირებად (მაგრამ პოლიტიკოსების ერთმანეთის ჟლეტა ხალხსაც ხომ ნორმალურ აქტად მიაჩნია: „**Нет человека _ нет проблемы**" – ამბობს საქვეყნოდ ცნობილი ქართველი).

თვალწინ მიდგას კადრები – გაბადრული სახეები, სახალხო ზეიმი, სიხარული, რომელსაც განიცდიდა რუმინეთი „ბელადის" სასჯელის დღეს... რა შავი ჭირი უნდა მოიშორო თავიდან, რა მძიმე განსაცდელს უნდა მოეღოს ბოლო, რომ მთელი ერი ადამიანის სიკვდილს სიხარულით ხვდებოდეს!

არა, ზოგჯერ მეჩვენება, ჩვენ, ქართველებს, როგორც საბა ორბელიანის ბაყაყებს, მეფედ ან უძრავ კუნძს გვიგზავნის ღმერთი, ან წეროს!

**P.S.** არ მინდოდა დამეწერა (მაგრამ სიმწარემ ასე იცის), გასაჭირში მყოფს, არც ერთმა ვაჟკაცმა (ბრჭყალებში) კოლეგამ არ დამირეკა. ისე, უბრალოდ მაინც! ეტყობა, მოერიდათ, ნუთუ კარიერაზე ფიქრობდნენ... კი, მაგრამ დღეს – პეტიციები??? მიკვირს... ძალიან...

ამ! მსახიობები კი მიყვარს. ნიჭიერები კი – მით უმეტეს!

და – მაყურებელიც (ოღონდ ვისაც მეც მოვწონვარ). ფანების კლუბს ვხსნი, როგორც ვენაში – ოდესღაც ერთმა წერომ, თუ კუნძმა! – წერს რობერტ სტურუა. (რეპორტიორი)

**„ალია" ცდილობს, კომენტარები მოიპოვოს იმ ადამიანებისგან, რომლებმაც პრეზიდენტს უგულავას შეწყალების თხოვნით მიმართეს. ეტყობა, სადღესასწაულო განწყობა მათ ჯერ არ გასვლიათ და ტელეფონს, პრაქტიკულად, არც ერთი არ პასუხობს. ასეა თუ ისე, შევეცდებით, მათი კომენტარები მომდევნო ნომრებში მაინც შემოგთავაზოთ.**

# პატრიარქის საშობაო ეპისტოლე



„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

დღეს ხარობს ყოველი სულდგმული, ცა და ქვეყანა, ხარობს ჩვენი სულები და სამყაროც ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

– რა არის მიზეზი ამ საოცარი სულიერი ზეიმისა?

– ის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სამოთხისეული ნეტარების მოპოვებისა, დაკარგული სიწმინდის აღდგენისა და სულიერი განახლებისა. დღეს ძე ღვთისა განხორციელდა, რათა ადამიანი ღმერთამდე ალამაღლოს!

„საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქუაბი ცათა ემსგავსა, ქალწული – ქერუბიმთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროისა, რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი, დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ“ (სადღესასწაულო).

მაშ, მივეგებოთ ახლადშობილ ყრმას და გავხსნათ კარნი გულისანი, რათა ჩვენშიც იშვას ქრისტე.

– ვართ კი ღირსნი, რომ იესო მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს გულებში?

– რა თქმა უნდა, არა და არც არასდროს ვიქნებით მზად ამ დიდი საიდუმლოსთვის, მაგრამ მოწყალება და სიყვარული ღვთისა იმდენად მიუწვდომელია და უნაპირო, რომ ეს სასწაული სრულდება. ოღონდ ამას თავისი აუცილებელი პირობაც ახლავს.

– კერძოდ?

– ადამიანი თანაზიარი უნდა გახდეს ღვთაებრივი სიყვარულისა.

– როგორ შევძლოთ ეს?

– წმ. პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ღმერთთან კავშირისთვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამათ შორის კი უპირატესად სახელდებს სიყვარულს (I კორ. 13.13), რადგან რწმენა და სასოება, მხოლოდ ამქვეყნად არსებობს და ჩვენი მიწიერი ყოფისთვისაა აუცილებელი, ხოლო სიყვარული ჰგიეს უკუნისამდე.

– როგორია ღვთაებრივი სიყვარული?

– ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ, – „ღმერთი სიყვარულია (ინ.4,8).

ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერც ერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხონების ერთადერთ გზას გაუკვალავდა.

„შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ. 13,34); „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის“ (ინ. 15,13.), – ბრძანებს იესო.

ქრისტიანობამ აბსოლუტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, – მისი ერის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი!

„მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (მთ. 5.44-45).

ეს არის მანამდე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა.

ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და, ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ. ჩვენს დევიზად იქცა რუსთველის უკვდავი სიტყვები:

„მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად...“ „სიყვარული აღგვამაღლებს“.

ასეთმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების ასეთმა წესმა გადაგვატანინა ათასგვარი ქარტეხილი და დღემდე მოგვიყვანა. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ?

აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აქაც.

სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, სანამ ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან.

მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგნენ პირად ინტერესებზე მაღლა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნებების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხისმგებლობაზე და „ახალი სიყვარულის“ ძებნას იწყებენ.

ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყიდიან?

ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ხორციელი ერთობისთვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განღმრთობა.

ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოდნობას, რაც ოჯახურ ყოფაში ვლინდება ღვთის სადიდებლად ურთიერთმსხვერპლშეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით.

რა თქმა უნდა, განღმრთობის მიღწევის სურვილი არის ბერ-მონოზვნური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. ის უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. ბერ-მონოზვნობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისთვის, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

წმინდა წერილი ბრძანებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ.1.27), – როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებლად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება.

უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოდვა აღარ არის ცოდვა, არამედ – ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოდვის სიყვარული – თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისგან არ იქნენ მხილებულნი, არამედ მისაღებნი გახდნენ ყველასთვის. ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება.

ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: „ღვთისმგმობელის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი – შეურაცხყოფას“ (სიბრძნ. სოლ. 9,7).

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოდვა. ქრისტე მკვეთრ ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მთ. 10.34).

გავიხსენოთ პავლე მოციქულიც: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი“ (I კორ. 6.9-10).

მათდამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოვხატოთ, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცდომილება. ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს. თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ველარ იტანს შენიშვნას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხშირად სხვაში ვხედავთ გამოსასწორებელ ნაკლს და საკუთარი თავი გვავიწყდება. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: „შეიცანი თავი შენი; „რომაელებიც იმეორებდნენ: „**NOSCE TE IPSUM**“. სახარებაც გვარიგებს: „რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?“ (მთ.7.3).

საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახოვნებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს ის საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში.

ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური „მე“ ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწყნარებელია მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩლუნგებს.

გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შელამაზებას არ მოინდომებს.

მაშინ მიემსგავსება იგი იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნათლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიად დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისკენ ისწრაფვის.

ჩვენი ნამდვილი „მე“-ს დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდმეტყველება და ცუდი აზრებია.

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა?

წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: „პირველითგან იყო სიტყვა“ (ინ. 1.1).

დიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმერთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდებს, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთანავე, ცხადყოფს მამის და მხოლოდშობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: „სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა... და ყოველივე მის მიერ შეიქმნა“ (ინ. 1.1-3).

სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი... და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად... და იქმნა ასე“ (დაბ. I. 3,6,7,14,15)...

ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილებათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმერთის თვისებაა!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვასახელს, როგორც პიროვნებისთვის, ისე საგნისა თუ მოვლენისთვის, რადგან მასში ჩადებული შინაარსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოვლადწმინდა სამების მიერ მოხდა:

„ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე... მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს – მიწა (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა...

შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმის გვირგვინს.

ადამმა სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე, მის შემწედ შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავალთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ.

სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმშობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძნობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებლობა გაჩნდა მატერიალური სიტყვისა.

ღმერთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალა აქვს. ოღონდ, უფლისგან განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

იცოდეთ, არც ერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36).

ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნახეთ, როგორი შემწიკვლებულია ჩვენი ბაგეები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხით, უმადურობით, ცრუ ფიცით, წყევლით, გინებით...

„ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აჰა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს“ და „სავსეა მომაკვდინებელი გესლით“ (იაკ.3,5, 8).

„ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც“ (იაკ. 3;9). ამიტომაც, თუ ვინმეს „ღმრთისმოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოსდებს ენას, იცოდეს, ფუჭია მისი ღვთისმოსაობა“ (იაკ.1, 26).

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: იცი, რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: „დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

– ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისგან მოვისმინე.

– რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

– არა, პირიქით.

– ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

– ვფიქრობ, არა.

– „თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?!“ – უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს.

დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა.

ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაჟებიც და ახლა უკვე გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხვდებიან, რომ თავის თავს იწყევლიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხმყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის.

საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყვდიადისკენ მიმავალი გზა. ღმერთმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენაა. ეკლესიისა და სასულიერო პირებისთვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ ის, ასევე, მოვალეობაა საერო პირთათვის.

აი, როგორ გვარიგებს მოციქული: „უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნი იგალობოს... რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს... და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო... ბევრი რამ ძალუძს მართლის ლოცვას“ (იაკ. 5. 13, 15-16).

მართალში კი მაცხოვრის მცნებებით მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან „სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა“ (კოლ.3,15).

ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი „სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს (Iკორ. 13.4-9). სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება. აი, რა სულისშემძვრელ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე... წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ... მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარას მარგია“ (I კორ.13.1-3).

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, – აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მარკ.12.30-31).

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ღმერთმა მრავალი გზა დასახა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინავენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკვნენ, ვიღაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა – სანახევროდ;

ცოდვამ გძლია? – სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე.

მდიდარი ხარ? – მოწყალება უხვად გაეცი.

თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუგეშე...

თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უდრტვინველად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იობივით უდიდეს ჯილდოს მიიღებ.

ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან, უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთანავე, ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მადლობდა ღმერთს ყველაფრისთვის.

აი, ასეთი ცხოვრების გამო დაიმკვიდრა მან აბრაამის წიაღი“.

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდე; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უდრტვინველად, მადლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს.

ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ. ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელ მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი, დევნილთა სიმწარე და ხვალინდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ ის უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს. მოვუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ, სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები:

„ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმერთის ჩვენის სულით“. (I კორ.6,11)

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ანთებული სანთლით კვლავაც მივეგებოთ ბეთლემს მიმავალ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და მართალ იოსებს. დავითის ქალაქს უკვე უახლოვდებიან მოგვნი, სადაცაა მწყემსებიც მოისმენენ ანგელოზთა საგალობელს. მაშ, ჩვენც ნუ დავყოვნდებით, სულით მივეახლოთ ახალშობილ ყრმას და მუხლმოდრეკით შევთხოვოთ: შენი ვარ, გვაცხოვნე ჩვენ!

ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ, რომ ამ დღეების მადლით მოხდეს ჩვენი განწმენდა, განახლება და სიკეთით აღვსება. შევიყვაროთ და გავიხაროთ ერთმანეთით; მაშინ ღმერთიც შეგვიყვარებს და გვაცხოვნებს.

ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერად აღგამაღლოთ.

*სიყვარულით თქვენთვის*
*მლოცველი ილია II*
*სრულიად საქართველოს*
*კათოლიკოს-პატრიარქი*
*თბილისი, შობა ქრისტესი,*
*2015-2016 წელი*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-1 ღია კონკურსს К-300-240-3 ЛМЗ ტიპის ტურბინის სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 8 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №T-2016-20 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების ქიმიური მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-15 ღია კონკურსს სხვადასხვა დანიშნულების სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 - სათადარიგო ნაწილები მექანიკური მოწყობილობებისათვის;
ლოტი 2 - სათადარიგო ნაწილები თბური გაზომვებისა და ავტომატიკის მოწყობილობებისათვის;
ლოტი 3 - სათადარიგო ნაწილები ელექტროტექნიკური მოწყობილობებისთვის.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 8 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-28 ფასთა ღია გამოკითხვას საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-16 ღია კონკურსს მექანიკური სამუშაოებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 - სხვადასხვა ტიპის მეტალის მილი;
ლოტი 2 - სხვადასხვა დანიშნულების მეტალის მასალა;
ლოტი 3 - სხვადასხვა ტიპის პარონიტი;
ლოტი 4 - სხვადასხვა სახის საღებავი;
ლოტი 5 - სხვადასხვა ტიპის საპოხი მასალა;
ლოტი 6 - სხვადასხვა სახის სახარჯი მასალა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 8 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-31 ღია კონკურენტულ მოლაპარაკებებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-17 ფასთა ღია გამოკითხვას ელექტროტექნიკური სამუშაოებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 - სხვადასხვა ტიპის კაბელი;
ლოტი 2 - სხვადასხვა სახის სახარჯი მასალა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-33 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-18 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკური ხელსაწყოს შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-8 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 - სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალა მექანიკური სამუშაოებისათვის;
ლოტი 2 - სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალა ელექტროტექნიური სამუშაოებისათვის;
ლოტი 3 - სხვადასხვა ტიპის ელექტრო სადენი;
ლოტი 4 - სხვადასხვა ტიპის საპოხი მასალა;
ლოტი 5 - სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქართ. მინერალური წყალი
2. ფეხბურთელი ნავიერ ...
3. ბარდი ... ვისოცკი
4. მეფე ძველ ეგვიპტეში
5. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
6. ძველი ნახატის აღდგენა
7. სასმელი: ჯინი და ...
8. მწერალი დენი ...
9. მდინარე რუსეთში
10. მწერალი ... როდარი
11. ტენორი ... კარუზო
12. მემა-რცხენე ადამიანი
13. რიცხვი: ... და მრავლობითი
14. ქრისტიანული სიმბოლიკა
15. ლუვრში: „მონა ლიზა-...“
16. წყლის ტრანსპორტი
17. მხ/ფ „უკანასკნელი ...“
18. შინაური ცხოველი
19. ღვინის ღმერთი
20. კომპოზიტორი ზაქარია ...
21. პოეტი ... მაჭავარიანი
22. ვაჟა-ფშაველას გვარი
23. „ქეთო და კოტე“ ვაჭარი
24. საყანედ გაჩეხილი ტყე
25. მსახიობი ლაიზა ...
26. მსახიობი სოფი ...
27. მომღერალი ... ოსბორნი
28. სამშენებლო მასალა
29. მხატვარი კამილ ...
30. შექსპირი. „... და ჯულიეტა“
31. ცხიმოვანი სიმსივნე
32. ინტუიცია
33. გაზაფხულის თვე
34. ველური ყაყაჩო
35. ადამიანის წინაპარი
36. ქალაქი გერმანიაში
37. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
38. „... თოვლიანი მთა“
39. ტკბილი ნივთიერება
40. ჩვენთან ... ღმერთი
41. აივაზოვსკი. „მეცხრე ...“
42. ეგვიპტის ფარაონთა დინასტია
43. ცული
44. მოსამსახურე
45. დიზაინერი ჯორჯო ...
46. საქონლის კუჭი
47. ძვირფასი ლითონი
48. მაიმუნის სახეობა
49. მსახიობი ... ოლივიე
50. ტროას ბერძნ. სახელწ.
51. ... კიხოტ ლამანჩელი
52. სიგრძის ძვ.რუს. ერთეული
53. მოსაპირკეთებელი ქვა
54. ძვირფასი წითელი ქვა
55. იგავი
56. იაზონის გემი
57. მხ/ფ „... მწვანე ველი“
58. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
59. მსახიობი ჯენიფერ ...
60. აზროვნების ორგანო
61. ღვინის გამყიდველი ძველად
62. თავადზე დაბალი წოდება
63. მეტროს მოძრავი კიბე
64. მაგნიტი
65. მდინარე ციმბირში
66. პულსის ადგილი ხელზე
67. ხელის საგრილებელი
68. კახური ტკბილი პური
69. მოქანდაკე ოგიუსტ ...
70. ბილიარდის ჯოხი
71. მსახიობი ედრიან ...
72. სოფლის ტრანსპორტი
73. მსახიობი ... ასანტე
74. გამის ნოტი
75. ალაოს შაქარი
76. მთათა სისტემა აზიაში
77. მსახიობი დაიან ...
78. ქალაქი რაჭაში
79. მისი დედაქალაქია დუბლინი
80. ... და ობელიქსი
81. მე-17ს. ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე ოლივერ ...
82. უანგარო შრომა
83. გეოლოგიური პერიოდი
84. ნიანგის სახეობა
85. კურორტი ხაშურთან
86. მომღერალი ივანა ...
87. თავის ჩონჩხი
88. მსახ. ... ბეგაშვილი
89. ყავის ჯიში
90. სიმინდის ყვავილედი
91. ბურუსი
92. სოფელი კასპის რაიონში
93. ფოკუსების ოსტატი
94. სომხური გვარის ნაწილაკი
95. მდინარე ციმბირში
96. მტაცებელი ცხოველი სავანაში
97. „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
98. ხელოვნური ენა
99. თხის ტყავის ჭურჭელი
100. იალქანი
101. „ვიი“ ავტორი
102. მსახიობი მარლენ ...
103. ნივთიერება. გამოიყოფა შიშის დროს
104. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
105. მსახიობი ... კეიჯი
106. ხერხემლის გაღუნვა წინისკენ
107. მსახ. ... კოლელიშვილი
108. ხის ჯიში
109. რეჟისორი ალფონსო ...
110. თიხის ჭურჭელი ღვინისთვის
111. თონის მრგვალი პური
112. გრძელი ხალიჩა
113. ჭაობში წარმოქმნილი ნიადაგი
114. მსახ. ... ბეგალიშვილი
115. მისი დედაქალაქია თეირანი
116. ინის საპირისპირო
117. მოჭადრაკე ნინო ...
118. დისნეის ქალთევზა
119. საფარიკაო იარაღი
120. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
121. მშობელი
122. ფრინველი თბილისის ლეგენდიდან
123. მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
124. ნიანგი ... და ჩებურაშკა
125. ლაშქარი
126. მდინარე ინდოეთში
127. საფრანგეთის ჰიმნი
128. ამოთხრილი ადგილი
129. მომღერალი ... კახიანი
130. სავაჭრო ცენტრი ...-მოლი
131. წანაზარდი მამლის ფეხზე
132. ჩარხი
133. ოქროს ძაფი
134. მსახ. ... მაკგრეგორი
135. ლორად გამოყვანილი ზუთხი
136. მდინარე თბილისში
137. ბუვიეს რომანი
138. „... ჩამოვიდნენ მთიდან“
139. მომღერალი ლედი ...
140. ესპანელი მხატვარი
141. რეჟისორი ... რიჩი
142. თანხმობის ფორმა

პასუხები: 1. „ბორჯომი“; 2. მასკერანო; 3. ვლადიმერ; 4. ფარაონი; 5. დეა; 6. რესტავრაცია; 7. ტონიკი; 8. დიდრო; 9. დონი; 10. ჯანი; 11. ენრიკო; 12. ცაცია; 13. მხოლობითი; 14. ჯვარი; 15. „ჯოკონდა“; 16. ნავი; 17. იმპერატორი; 18. ცხენი; 19. დიონისე; 20. ფალიაშვილი; 21. მუხრან; 22. რაზიკაშვილი; 23. მაკარი; 24. ახო; 25. მინელი; 26. მარსო; 27. ოზი; 28. კირი; 29. კორო; 30. რომეო; 31. თია; 32. ალღო; 33. მაისი; 34. იორდასალამი; 35. ნეანდერტალელი; 36. ლაიფციგი; 38. კილიმანჯაროს; 39. შაქარი; 40. არს; 41. ტალღა; 42. რამზესი; 43. ნაჯახი; 44. ლაქია; 45. არმანი; 46. ფაშვი; 47. ოქრო; 48. ორანგუტანგი; 49. ლოურენს; 50. ილიონი; 51. დონ; 52. ვერსი; 53. მარმარილო; 54. ლალი; 55. არაკი; 56. „არგო“; 57. დიდი; 58. სირ; 59. ტილი; 60. ტვინი; 61. სირაჯი; 62. აზნაური; 63. ესკალატორი; 64. ანდამატი; 65. ლენა; 66. მაჯა; 67. მარაო; 68. ნაზუქი; 69. როდენი; 70. კიი; 71. ბროუდი; 72. ურემი; 73. არმან; 74. სი; 75. მალტოზა; 76. ტიან-შანი; 77. კიტონი; 78. ონი; 79. ირლანდია; 80. ასტერიქსი; 81. კრომველი; 82. ამაგი; 83. მეზოზოური; 84. ალიგატორი; 85. სურამი; 86. მელაი; 87. ქალა; 88. შორენა; 89. მოკო; 90. ტარო; 91. ნისლი; 92. გრაკალი; 93. ილუზიონისტი; 94. ტერ; 95. ენისეი; 96. ლომი; 97. ელიოზი; 98. იდო; 99. ტიკი; 100. აფრა; 101. გოგოლი; 102. დიტრიხი; 103. ადრენალინი; 104. ისინდი; 105. ნიკოლას; 106. ლორდოზი; 107. ზაზა; 108. ტირიფი; 109. არაუ; 110. დოქი; 11. ლავაში; 112. ფიანდაზი; 113. ტორფი; 114. ბადრი; 115. ირანი; 116. იანი; 117. გურიელი; 118. „არიელი“; 119. რაპირა; 120. ვერდი; 121. დედა; 122. ხოხობი; 123. სერ; 124. გენა; 125. სპა; 126. ინდი; 127. მარსელიეზა; 128. ორმო; 129. ეკა; 130. ლილო; 131. დეზი; 132. დაზგა; 133. სირმა; 134. ევან; 135. დოში; 136. მტკვარი; 137. „იზა“; 138. ისინი; 139. გაგა; 140. გოია; 141. გაი; 142. კი. იკითხება: მერილინ მონრო.







1. მომღერალი ლელა ...
2. ღირებულების ნაწილნაწილ გადახდა
3. გულის ექიმი
4. ... ბედის მონახვერეაო
5. ალკოჰოლური სითხე
6. ფინეთის დედაქალაქი
7. პროვინცია ესპანეთში
8. ქალაქი სამხ. საქართველოში
9. მ/ფ „...-ჰარბორი“
10. სახელმწიფო აზიაში
11. ბრედ პიტი ფილმში
12. ბილიარდის ჯოხი
13. უცხვირპირო ადამიანი
14. სანკტ-პეტერბურგი ადრე
15. ბრემ სტოკერის ნაწარმოები
16. მტაცებელი ფრინველის ფრენა
17. ავტორბოლა
18. გულის მთავარი სისხლძარღვი
19. მ/ფ „...ბედი-ნერი“
20. წყლის ფრინველი
21. მშვილდით სასროლი ჯოხი
22. ბულგარელი ნათელმხილველი
23. ცეცხლის ენა
24. ხალიჩა
25. სიტყვა-კოდი
26. ნივთიერება, შედის თამბაქოში
27. პურეულით დათესილი ადგილი
28. ანოდი და ...
29. ქალაქი ესპანეთში
30. მომღერალი ... მარტინი
31. საფასური, უხდიან მევალეს
32. იუპიტერის თანამგზავრი
33. თვითნასწავლი მხატვრობა
34. ხურდა ფული აშშ-ში
35. თამაში: ...-ტაფელა
36. ქართ. სამარკო ღვინო
37. კურორტი ბორჯომთან
38. კუნძული იტალიაში
39. რასელ კროუ ფილმში
40. სამკურნალო მცენარე
41. მსახიობი ... ვენტურა
42. შინაური ფრინველი
43. ბროსნანი ფილმში „...პიკი“
44. ქიმიური ელემენტი
45. ექსპრომტი
46. რუსი ილუზიონისტი
47. პარლამენტის თავმჯდომარე (ინგლის)
48. მსახიობი ... ნოლტი
49. რას უჩნდება კარიესი
50. სოციალური ფენა ინდოეთში
51. მდინარე ქუთაისში
52. კრემიანი ნამცხვარი
53. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
54. უძველესი აკადემია კახეთში
55. ბუჩქი, უწითლდება ფოთლები
56. გერმანიის დედაქალაქი
57. ერთგვარი საგნების კრებული
58. წყალქვეშა ჭურვი
59. ჩახლართული გასასვლელი
60. ნამუსი
61. ვაზის ნაყოფი
62. უბანი მტკვრის პირას
63. ინდიელის ტყავის ფეხსაცმელი
64. ცოლის დედა
65. ზაფხულის თვე
66. ჰიპოკრატეს ...
67. პურის კიდე
68. ბუდისტი მღვდელი
69. დონჟუანი მუშკეტერი
70. უსინათლოთა ანბანი
71. ისტორიიდან: ... სააკაძე
72. თქმულება, ანუ ...
73. ილია ჭავჭავაძის ლექსი
74. მწერალი ... იოსელიანი
75. ბადიანი საგანი ფქვილისთვის
76. მახრჩობელა გველი ამაზონში
77. კვაზიმოდოს სატრფო
78. მომღერალი ფილიპ ...
79. ზამბახი
80. შეძახილი ტკივილისას
81. გამხმარი ალუბალი
82. ქალაქი გერმანიაში
83. ზნე, ხასიათი
84. ცისარტყელას ქალღმერთი
85. მამალი კვიცი
86. გველის ხმიანობა
87. მალებში დისკის ამოვარდნა
88. კოკო შანელის №5
89. იგივეა, რაც ვიგვამი
90. გერდას მეგობარი ბიჭუნა
91. დასაძინებელი ნაყენი
92. მონაფის მაგიდა
93. ... ურჩევნია მამულსა
94. რეპტილია
95. გრიგი. „... გიუნტი“
96. მსახიობი ... ფრიმენი
97. სიყვარულის ღმერთი ბიჭუნა
98. ზუმბა, იგივე ზაზა ...
99. ქალაქი კანადაში
100. იგავი, ანუ ...
101. ტაილანდის ძველი სახელწ.
102. მ/ფ „ჩარირამა“ ბეგალიშვილი
103. ცხენოსნობა ჭოკის სროლით
104. ერთკუზიანი აქლემი
105. ნაცია
106. ამ ქალაქში დაწვეს ჟანა დარკი
107. თურქეთის დედაქალაქი
108. საინექციო მინის კაფსულა
109. ციტრუსი
110. აშშ-ის ფულის ერთეული
111. მსახიობი ... ბალოკი
112. ალამი
113. როუენ ატკინსონი მისტერ ...
114. მსახიობი ჟერარ ...
115. სოფელი რაჭაში
116. იმრე კალმანის ჟანრი
117. ამერიკელების მეტსახელი
118. მდინარე ინდოეთში
119. ანსამბლი „ოთხი ...“
120. მსახიობი ... გიბსონი
121. მომღერალი ... მინოუგი
122. კომპიუტერის „მღრღნელი“
123. „მატრიცა“ ჰაკერი
124. ინტრიგების მხლართველი
125. კომპოზიტორი ... ბაბაჯანიანი
126. ლუდის ხელიანი სასმისი
127. ზოდიაქოს ნიშანი
128. „... დაიჭირავს სიკვდილსა“
129. მზის ღმერთი ეგვიპტეში
130. ... მეფობენ და არა მეფენი
131. ლაშქარი
132. ტენორი ... ლანცა
133. სიროფში მოხარშული ხილი
134. „მატრიცა“ ნათელმხილველი
135. მომღერალი ... პავლიაშვილი
136. სპარტაკის სამშობლო
137. ირანის მონარქი შაჰ-...
138. „სამანიშვილის დედინაცვალი“ სიძე
139. მსახიობი ... ჰაიეკი
140. თავაშვებული ღრეობა
141. ..., მუდამ იყოს მზე!
142. იაპონური თეატრი
143. ფეხის სახსარი
144. ავტომობილი „...-როისი“
145. კონტინენტი
146. სამაგიდო თამაში
147. ლეილა აბაშიძე ფილმში
148. საგანგებო დავალება
149. ამბორი
150. „კიდევაც დაიზრდებიან ... ლეკვები“
151. ნუსხა
152. ხარაზის იარაღი
153. დიდი საჭაპრისო შენაერთი
154. ... ფოიხტვანგერი
155. ... გაგარინი
156. ყურძნის არაყი
157. მხედველობის ორგანო

პასუხები: 1. წურწუმია; 2. განვადება; 3. კარდიოლოგი; 4. ცდა; 5. სპირტი; 6. ჰელსინკი; 7. მალაგა; 8. ახალციხე; 9. პერლ; 10. ტაილანდი; 11. „ტროა“; 12. კიი; 13. ბაიყუში; 14. ლენინგრადი; 15. „დრაკულა“; 16. ირაო; 17. რალი; 18. აორტა; 19. კუჩხი; 20. ყანჩა; 21. ისარი; 22. ვანგა; 23. ალი; 24. ნოხი; 25. პაროლი; 26. ნიკოტინი; 27. ყანა; 28. კათოდი; 29. ბარსელონა; 30. რიკი; 31. პროცენტი; 32. იო; 33. ნაივი; 34. ცენტი; 35. რიკ; 36. ნაფარეული; 37. ლიკანი; 38. სიცილია; 39. „გლადიატორი“; 40. სალბი; 41. ლინო; 42. ციცარი; 43. დანტეს; 44. იოდი; 45. კაფია; 46. კიო; 47. სპიკერი; 48. ნიკ; 49. კბილი; 50. კასტა; 51. რიონი; 52. ტორტი; 53. ასო; 54. იყალთო; 55. თრიმლი; 56. ბერლინი; 57. კოლექცია; 58. ტორპედო; 59. ლაბირინთი; 60. სინდისი; 61. ყურძენი; 62. რიყე; 63. მოკასინი; 64. სიდედრი; 65. აგვისტო; 66. ფიცი; 67. ყუა; 68. ლამა; 69. არამისი; 70. ბრაილი; 71. გიორგი; 72. ბალადა; 73. ელეგია; 74. ოტია; 75. საცერი; 76. ანაკონდა; 77. ესმერალდა; 78. კირკოროვი; 79. ირისი; 80. ვაი; 81. კერკი; 82. ბონი; 83. ნირი; 84. ირიდა; 85. ურა; 86. სისინი; 87. დისკოზი; 88. სუნამო; 89. ტიპი; 90. კაი; 91. ბანგი; 92. მერხი; 93. ის; 94. კუ; 95. პერ; 96. მორგან; 97. ამური; 98. კორინთელი; 99. ტორონტო; 100. არაკი; 101. სიამი; 102. ჭიპილია; 103. ისინდი; 104. დრომადერი; 105. ერი; 106. რუანი; 107. ანკარა; 108. ამპულა; 109. ფორთოხალი; 110. დოლარი; 111. სანდრა; 112. დროშა; 113. ბინი; 114. ფილიპი; 115. ირი; 116. ოპერეტა; 117. იანკი; 118. ინდი; 119. გია; 120. მელ; 121. კაილი; 122. თაგვი; 123. ნეო; 124. ინტრიგანი; 125. არნო; 126. კათხა; 127. ვერძი; 128. ვერ; 129. რა; 130. დრონი; 131. სპა; 132. მარიო; 133. მურაბა; 134. პითია; 135. სოსო; 136. თრაკია; 137. აბასი; 138. კირილე; 139. სალმა; 140. ორგია; 141. დაე; 142. ნო; 143. მუხლი; 144. როლს; 145. ამერიკა; 146. ნარდი; 147. „აბეზარა“; 148. მისია; 149. კოცნა; 150. ალგეთს; 151. სია; 152. სადგისი; 153. არმია; 154. ლიონ; 155. ჭაჭა; 156. თვალი. იკითხება: გავიალი. ოპოსუმი. კომოდოს ვარანი.

## სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-14 ფასთა ღია გამოკითხვას საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-19 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიულ მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-1 ღია კონკურსს ჰიდროაგრეგატისათვის სხვადასხვა დანიშნულების სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით:

ლოტი 1 - ჰიდროაგრეგატის ქუსლის სეგმენტი;
ლოტი 2 - ჰიდროაგრეგატის ქუსლის სეგმენტის საყრდენი.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 8 თებერვალი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-9 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით:

ლოტი 1 - სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალა მექანიკური სამუშაოებისათვის;
ლოტი 2 - სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალა ელექტროტექნიური სამუშაოებისათვის;
ლოტი 3 - სხვადასხვა ტიპის ელექტრო სადენი;
ლოტი 4 - სხვადასხვა ტიპის საპოხი მასალა;
ლოტი 5 - სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-2 ფასთა ღია გამოკითხვას ჰიდროაგრეგატისთვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-12 ფასთა ღია გამოკითხვას სამთომაშველი სამსახურისთვის სპეც. ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-3 ფასთა ღია გამოკითხვას ტორდონის შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-17 ფასთა ღია გამოკითხვას საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-7 ფასთა ღია გამოკითხვას ყარაბულახის სადერევეციო გვირაბის ინსტრუმენტალურ გამოკვლევასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შედგენასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

## სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-22 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიულ მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 22 იანვარი 15 საათი.***

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# თქვე კაი ხალხო, სექტემბერში დაფუძნდით, ოქტომბერში მუშაობის უფლება შეგიჩერეს და რა ანაზღაურებას ითხოვთ?

## რაში ითხოვს საბანკო ზედამხედველობის საბჭო ხელფასებს?

6 იანვარს საფინანსო (საბანკო) ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წარმომადგენლებმა, რომელთა საქმიანობა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა და ანალოგიური სამსახური ისევ ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში დატოვა, პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს მიმართეს.

**„როგორც მოგეხსენებათ, 2015 წლის სექტემბერში, პარლამენტის მიერ დამტკიცდა სსიპ „საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ საბჭოს შემადგენლობა, საბჭოს თავმჯდომარე და სააგენტოს უფროსი. სააგენტო დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას და მოახდინა: 1) სააგენტოს დებულების; 2) საშტატო ნუსხის; 3) სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და 4) სააგენტოს 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. სააგენტოს ხსენებულ სხდომაზე, საბჭოს წევრის სტატუსით მონაწილეობდა ეროვნული ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენელი. მიმდინარე წლის ოქტომბერში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააგენტოს საბჭოსა და უფროსს უფლებამოსილება შეეზღუდათ გარკვეული ოპერაციების წარმართვისთვის, მაგრამ მთელ რიგ საკითხებზე მუშაობის უფლება კვლავ ძალაშია. შესაბამისად, მუშაობისთვის საჭირო აუცილებელი პირობები (სამუშაო შენობა, კომპიუტერული ტექნიკა, სახელფასო ბიუჯეტი და სხვა), რაც კანონის მიხედვით ეროვნული ბანკის მიერ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ამ ეტაპზე არ შესრულებულა. ასევე, არ არის განსაზღვრული სააგენტოს საბჭოს წევრების სარგო“.**

ამ განცხადებას ხელს აწერენ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე და საბჭოს წევრები – საშა ტერნესი, ეფრემ ურუმაშვილი და ეკატერინე გალდავა. უკაცრავად, მაგრამ ბნელა? თქვე კაი ხალხო, სექტემბერში დაფუძნდით, ოქტომბერში მუშაობის უფლება შეგიჩერეს, არავინ იცის, „ნაციონალების“ საკონსტიტუციო სასამართლო რა განაჩენს გამოგიტანთ, მაინც ისხედით და დებულებას თუ საშტატო ნუსხას წერდით, ანუ თქვენი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მუშაობას ახდენდით ისევ სათქვენოდ და ანაზღაურებას ითხოვთ? ეროვნული ბანკის დამცველს ძაღლი მიაკვდა სულში, მაგრამ ხომ აგიღეს „აბაროტი“ ეგრევე თავიანთი განცხადებით? დღემდე არაფერი გაგიკეთებიათ, ამიტომ თქვენი მოთხოვნაც არაკანონიერიაო:

**„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2015 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლო რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, შეაჩერა საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს საქმიანობა და სააგენტოს აპარატის ფორმირება და ფუნქციონირება საკონსტიტუციო დავის დასრულებამდე. ამ პერიოდში კი საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის ფუნქცია ერთმნიშვნელოვნად ისევ ეროვნულ ბანკს დაეკისრა. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საფინანსო სექტორის რეგულირებას კვლავ ეროვნული ბანკი ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს საბჭოს მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხის მიხედვით, ამჟამად ეროვნული ბანკის ფარგლებში საზედამხედველო ფუნქციაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა ოდენობასთან შედარებით 67 ერთეულით იზრდება სააგენტოს აპარატის თანამშრომელთა რიცხვი, ხოლო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სააგენტოს, არსებულ ბიუჯეტთან შედარებით, ადმინისტრაციული ხარჯებისთვის 10 მილიონი ლარით მეტის დახარჯვა აქვს დაგეგმილი. ეროვნული ბანკი ცალსახად აცხადებს, რომ არამიზნობრივი და არაკანონიერი იქნებოდა ჩვენი ბიუჯეტიდან ასეთი ხარჯის გაწევა, მით უფრო, რომ სააგენტო რეალურად არ ფუნქციონირებს და საფინანსო სფეროს ზედამხედველობის ფუნქციას კვლავ ეროვნული ბანკი ასრულებს“.**

ესე იგი, 67 თანამშრომლით მეტი და ასევე, 10 მილიონი ლარით მეტი. ვერაფერს იტყვი, მაგარი მადა ჰქონიათ საფინანსო ზედამხედველობის ჯერაც დაუმტკიცებელ მუშაკებს. როგორც ამბობენ, ხელმძღვანელების ხელფასები, ანუ სარგოები უნდა გაუთანაბრდეს მოსამართლის ხელფასს (6 ათასი ლარი), ხოლო სარგოები ცალკე იქნებაო. და მერე ჩვენ რა? ბანკები ეგრევე შეამცირებენ პროცენტებს თუ ლარის კურსი დაიწყებს გამყარებას? როდესაც თქვენ პარლამენტში დამტკიცებისას ამის თაობაზე გკითხეს,

> **და მერე ჩვენ რა? ბანკები ეგრევე შეამცირებენ პროცენტებს თუ ლარის კურსი დაიწყებს გამყარებას? როდესაც თქვენ პარლამენტში დამტკიცებისას ამის თაობაზე გკითხეს, ყველამ მხრები აიჩეჩეთ და თქვით: ჯერ არაფერი ვიცით, საკითხებს შევისწავლით და მერე მოგახსენებთო. კარგად შეგისწავლიათ ფინანსური საკითხები და „მუშაობაც მოგიხდენიათ“, ოღონდ მარტო თქვენთვის**

ყველამ მხრები აიჩეჩეთ და თქვით: ჯერ არაფერი ვიცით, საკითხებს შევისწავლით და მერე მოგახსენებთო. კარგად შეგისწავლიათ ფინანსური საკითხები და „მუშაობაც მოგიხდენიათ“, ოღონდ მარტო თქვენთვის.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ზვიად კვაჭანტირაძე ამბობს, ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოსთან დაკავშირებით სიტუაცია ჩიხშია შესული. თუმცა დეპუტატი ფიქრობს, რომ გამოსავალი მოიძებნება. ეტყობა, კვაჭანტირაძე თავის დაძვრენას ცდილობს, არ უნდა, არშემდგარი სააგენტოს შეფებს აწყენინოს, თორემ ამ ეტაპზე სიტუაცია მართლაც ჩიხშია და თებერვლის ბოლომდე არც არაფერი იქნება.

**საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, თამაზ მეჭიაური „ალიასთან“ ვრცელ კომენტარს ვერ აკეთებს, რადგან მდგომარეობა გაურკვეველიაო:**

**— ბატონო თამაზ, იქნებ მითხრათ, ამ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსთან დაკავშირებით რას აპირებთ?**

– მე რა უნდა დავაპირო? საქმე საკონსტიტუციო სასამართლოშია.

**— საკონსტიტუციომ რა ვადით შეაჩერა, მე მგონი, 9 თვე აქვს განხილვისთვის ვადა, ხომ?**

– თებერვალში იხილავენ, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანენ, ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი.

**— საკონსტიტუციოს შეუძლია, რომ საერთოდ გააუქმოს? ესენი ნაადრევად რატომ ითხოვენ ხელფასებსა და პირობებს?**

– ყველაფერი შეუძლიათ, ვინაა განმკითხავი? დაველოდოთ.

**— აპირებს პარლამენტი საბჭოს მიმართვის განხილვას?**

– სანამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გვეცოდინება, არა მგონია ეს საკითხი დადგეს პარლამენტში.

დიახ, განმკითხავი რომ არავინაა, შესაძლებელია, ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის დანიშვნა 2016 წლის ბოლოსთვის გადავადდეს. ქადაგიძის წასვლას, რომელსაც ვადა თებერვალში ეწურება, ხელს უშლის რამდენიმე გარემოება: პირველი – მეჭიაურის თქმით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს თავისი რიგებიდან ირჩევს ეროვნული ბანკის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტს:

„აქ პარლამენტი უკვე არანაირი ფორმით არ მონაწილეობს, ფაქტობრივად, ბურთი პრეზიდენტის მინდორზეა და ის განსაზღვრავს, ვინ იქნება ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი. ძნელი სათქმელია, ვის შეარჩევს საბჭოს 7 წევრი, საიდანაც უკვე სამი იქნება ისეთი, რომელსაც წლის ბოლომდე გასდის ვადა“.

ესე იგი, საკითხი ასე დგას: თუ საბჭო არ მოიშორა ხელისუფლებამ, მისი წევრები ისევ თავიანთი რიგებიდან დანიშნავენ ვინმეს და ფაქტობრივად, ეროვნული ბანკი რჩება „ნაციონალების“ ხელში. კი, ბატონო, 3 წევრს 2016 წლის ბოლოს გასდის ვადა, 2 წევრს პრეზიდენტი წარადგენს, 2-ს პარლამენტი, ესეც თქვენი 7, მაგრამ გიორგი ქადაგიძის მოვალეობის შემსრულებლად რომ მისი რომელიმე მოადგილე, ანუ ისევ მისი კაცი რჩება? თამაზ მეჭიაურის თქმით, არ არის გამორიცხული, გარდამავალ ეტაპზე შეირჩეს ვინმე, ვისაც უფლებამოსილების ვადა წლის ბოლომდე გასდის და ის იყოს მოვალეობის შემსრულებელი, ან პრეზიდენტი.

მოკლედ, უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ახლა ხელისუფლება ცდილობს, ეროვნული ბანკი თავისივე საბჭოს (რომელსაც ვადა წლის ბოლოს უმთავრდება) მიათრევინოს 2016 წლის დეკემბრამდე და შემდეგ ახალ საბჭოს აარჩევინოს პრეზიდენტი. თუმცა რა ჭკუაზე იქნება პრეზიდენტი მარგველაშვილი თებერვალში, ეს, ალბათ, თვითონაც არ იცის. როგორც მისმა ეკონომიკურმა მრჩეველმა, გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, კონსულტაციები გაიმართება არასამთავრობოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და ასე შემდეგ. შესაბამისად, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ბედიც მაშინ გადაწყდება, როცა ეროვნულ ბანკს ახალი საბჭო და პრეზიდენტი ეყოლება და საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვას დაასრულებს.



**თუ საბჭო არ მოიშორა ხელისუფლებამ, მისი წევრები ისევ თავიანთი რიგებიდან დანიშნავენ ვინმეს და ფაქტობრივად, ეროვნული ბანკი რჩება „ნაციონალების“ ხელში**

## ია ფარულავა უცენზურო გადაცემით გამოჩნდება?



„ბევრს აინტერესებს, რატომ არ ვაკეთებ რაიმე მაგარ გადაცემას, რატომ ვზარმაცობ,

რატომ ვარ მხოლოდ ჟიურის და რეიტინგული სტუმრის აპლუაში მუდამ და ა.შ. ჩემი პასუხია: დავწერე უმაგრესი პროექტი, 100% რეიტინგული იქნება, მაგრამ ერთი ტელევიზია მეუბნება, მე ამას ვერ გავქაჩავ, არ მეყოფა ამის რესურსიო, მეორეს ეშინია და ამბობს, ჩემი ფორმატი არაა (უცენზუროა) და რა ვქნა ახლა მე?“ – წერს ია ფარულავა სოციალურ ქსელში.

– ია, არ გაგვიმხელ შენი ახალი პროექტის შესახებ?

– რა თქმა უნდა, არა. ბევრმა ტელევიზიამ ნახა, მოიწონა, შესაძლოა, ერთ-ერთი დამთანხმდეს კიდეც, ვნახოთ. სწორედ ეს უცენზურობა მოსწონთ, თვლიან, რომ ყველაზე რეიტინგული იქნება. ჯერ კიდევ მოლაპარაკებების პროცესში ვარ, ასე რომ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. (amboben.primetimenews.ge)

## ISIS-მა ჟურნალისტი სიკვდილით დასაჯა: „მაქვს ღირსება, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას“



**ISIS**-მა 30 წლის ჟურნალისტი ქალი სიკვდილით დასაჯა. ინფორმაციას „სიენენი“ ავრცელებს.

რუქია ჰასანი სირიელი ჟურნალისტი „ისლამურმა სახელმწიფომ“ სიკვდილით, სავარაუდოდ, ერთი წლის წინათ დასაჯა, თუმცა ჟურნალისტის მკვლელობა მის ოჯახს ახლახან აცნობა.

რუქია ჰასანი ნისან იბრაჰიმის ფსევდონიმით სირიის ქალაქ ალ-რაქაზე წერდა, რომელსაც ახლა „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს.

ის აღწერდა ქალაქის მაცხოვრებლების ყოველდღიურ ცხოვრებას და იმას, როგორ უმკლავდებოდნენ ისინი ტერორისტების მმართველობას.

ბოლო პოსტი ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში გასული წლის ივლისში გაავრცელა.

„მე ვარ რაქაში და მოკვლით დამემუქრნენ. არაუშავს, თუ **ISIS**-ი დამაკავებს და მომკლავს იმიტომ, რომ ისინი მომკვეთენ თავს, მე კი მაქვს ღირსება, რომელიც ამ ყველაფერზე მაღლა დგას“, – წერდა ჟურნალისტი „ტვიტერში“.

მან ასევე გამოაქვეყნა საკუთარი სურათიც, რომელსაც დღეს მსოფლიო მედია ავრცელებს. (metronome.ge)

## ნორვეგიული მედია — ქართველი დიპლომატები პარკინგის დავალიანებით ოსლოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის ლიდერობენ


Fem ansatte - 100.000 i ubetalte parkeringsbøter

ქართველი დიპლომატები პარკინგის ჯარიმების გადაუხდელობით ნორვეგიაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის ლიდერობენ, – ამის თაობაზე ინფორმაციას ნორვეგიული **Osloby** ავრცელებს. მედიაპორტალის ინფორმაციით, 5 იანვრის მონაცემებით, საქართველოს საელჩოს ნორვეგიაში პარკინგის ჯარიმის გადაუხდელობის გამო 101 850 კრონის ოდენობის დავალიანება დაუგროვდა, რაც დაახლოებით 27 500 ლარს შეადგენს.

– სამშაბათს, ოსლოში მდებარე უცხო ქვეყნების საელჩოებს პარკინგის ჯარიმის სახით 307 500 კრონის ოდენობის დავალიანება დაუგროვდათ. ამ სიის სათავეში პატარა რესპუბლიკა მოექცა, – წერს **Osloby**. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, პორტალის ინფორმაციით, მეორე ადგილს – მაროკოს საელჩო (30 150 კრონი), მესამეს – ვიეტნამის (25 600 კრონი), ხოლო მეოთხეს ერაყის საელჩო (22 800 კრონი) იკავებს.

– ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს საელჩოს, სადაც ქალბატონს ვესაუბრეთ. როგორც მან გვითხრა, ჯარიმების შესახებ ინფორმაცია არ აქვს და პირადად ის ავტომობილსაც არ მართავს. ამის შემდეგ საელჩოს ელექტრონული ფოსტით მივმართეთ და მივიღეთ პასუხი, რომ ისინი ინფორმირებულები არიან და აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ, – წერს სტატიის ავტორი. გამოცემის ცნობით, ოსლოს ხელისუფლება პარკირების მოსაწესრიგებლად იბრძვის, თუმცა რადგან უცხოურ საელჩოებს დიპლომატიური იმუნიტეტი იცავს, ადგილობრივი მთავრობა პრობლემის მოგვარებას ვერ ახერხებს. (bpn.ge)

**რადგან 7 იანვარი დასვენების დღე იყო, სამწუხაროდ, ამ თემაზე „ალიამ“ კომენტარი ვერ მოიპოვა, თუმცა მომდევნო დღეებში საკითხს აუცილებლად მივუბრუნდებით.**

2015 წელს რამდენიმე ცნობილი ადამიანის ოჯახი დაინგრა. ბევრმა ეს მტკივნეულად გადაიტანა, ზოგიერთმა კი საყვარელი ადამიანის შემცვლელი მალე იპოვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს სწორედ იმ წყვილების ოჯახები დაინგრა, ვის სიყვარულზეც თბილისში ბევრს ლაპარაკობდნენ.

# 2015 წელს დანგრეული ცნობილი ქართული ოჯახები









**ლალი მოროშკინა** და **ირაკლი ჯაფარიძე**

საკუთარი ოჯახის დანგრევის შესახებ საზოგადოებას თავად ლალი მოროშკინამ შეატყობინა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალი – ძლიერი სახელმწიფოს“ დამფუძნებელი, ირაკლი ჯაფარიძეზე 2013 წელს დაქორწინდა. ირაკლი ჯაფარიძესთან დაშორებას ლალი მოროშკინამ, ჟურნალისტებთან საუბრისას, ცხოვრების ტრაგედია უწოდა. „მე არც ისეთ ასაკში ვარ და არც იმ მდგომარეობაში, რომ შემეძლოს ყურადღების გადატანა რაღაც ფერად-ფერად ამბებზე. შესაბამისად, ეს ჩემთვის არის ცხოვრების ტრაგედია. 20 ივლისს გავაწერეთ ხელი და ოფიციალურ ქორწინებაში აღარ ვიმყოფებით. ძალიან მტკივა და ძალიან მიმძიმს ამ თემაზე საუბარი. შესაბამისად, თავს ვიკავებ დანარჩენი კომენტარებისგან. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული კარიერა და ოჯახი პარალელურ რეჟიმში მხოლოდ ძალიან ძლიერი ქალების ხვედრია ან როგორც ჩანს, მე არ გამოვდექი იმდენად ძლიერი, რომ ეს ორი ჭაპანი ერთად მეზიდა – ოჯახიც და კარიერაც. ზედმეტად დაკავებული ცოლი არც ერთ ქმარს არ მოსწონს და როგორც ჩანს, მერე უკვე სხვა პროცესები იწყება მის ცხოვრებაში. მე მას წარმატებას ვუსურვებ. ჩვენი თანაცხოვრების ორ წელიწადში ბევრი კარგი რამ იყო, – განაცხადა ლალი მოროშკინამ.

**ნანკა კალატოზიშვილისა** და **ირაკლი კეიდიას** ოჯახის დანგრევამ გული ბევრ ადამიანს დასწყვიტა. კალათბურთელი და მსახიობი რომანტიკულ წყვილად ითვლებოდნენ. ისინი დაოჯახებამდე დიდი ხანი იცნობდნენ ერთმანეთს, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ გრძნობები წლების შემდეგ გაუჩნდათ. დაოჯახდნენ და მათი ვაჟი დანიელი მოევლინა ქვეყანას. ნანკა დანიელის დაბადების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა, მთელ დროს პატარა ვაჟთან ატარებს, უარს ამბობს აქტიურ გართობაზე, რასაც ვერ ვიტყვით ირაკლიზე. ის თითქმის ყოველ შაბათ-კვირას კლუბებში დადის. ნანკა და ირაკლი თავიანთი დაშორების ამბავს რამდენიმე თვე მალავდნენ, თუმცა ეს ამბავი საიდუმლოდ დიდხანს არ დარჩა.

**სალომე ჭაჭუასა** და **გიორგი ვარდოსანიძის** ოჯახი ისევე სწრაფად დაინგრა, როგორც შეიქმნა. გიორგიმ და სალომემ ერთმანეთი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გაიცნეს, მაშინ ორივე შეყვარებული იყო, თუმცა მალე დაქორწინდნენ და შემდეგ დაშორდნენ კიდეც. ამბობენ, რომ სალომეს უკვე ჰყავს შეყვარებული, რომელიც მოცეკვავე მაქს რიჟიკოვია, თუმცა ოფიციალურად მათი ურთიერთობა არ დასტურდება. რაც შეეხება მათი ოჯახის დანგრევის მიზეზს, ამბობენ, რომ ეს მოცეკვავე ბაბეტა იყო, რომელსაც გიორგი ვარდოსანიძესთან სასიყვარულო მიმოწერა ჰქონდა. ბაბეტამ ეს ერთ-ერთ გადაცემაში თავად განაცხადა და თქვა, რომ სალომესა და გიორგის ოჯახი მის გამო დაინგრა. გიორგი პირადი ურთიერთობებისგან უკვე ისვენებს, სურს, ვალები გადაიხადოს და ის სახლი გაყიდოს, სადაც სალომესთან ერთად ცხოვრობდა.

**ნანუკა ჟორჟოლიანისა** და **ერეკლე კოდუას** ოჯახის დანგრევა მოულოდნელი აღმოჩნდა. ამის შესახებ თავად ნანუკამ განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში.

„მე და ირაკლი ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ არც გუშინ და არც გუშინწინ, დაახლოებით 6 თვის წინ. ეს ამბავი ირაკლისა და ჩემს მტრებს დიდად ნუ გაუხარდებათ, რადგან ყოველთვის ვიქნები იქ, სადაც ირაკლის ექნება პრობლემა და იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ეს მტრებს წარმოუდგენიათ. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრებად დავრჩით. მე ვიქნები მისი პრობლემების გვერდით, როგორც მისი მეგობარი. ირაკლისთან უმაგრესი წლები, უმაგრესი წუთები, წამები მაკავშირებს, უბრალოდ, ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებაში აღარ ვართ, როგორც ქალი და მამაკაცი, თორემ როგორც ადამიანები, ერთმანეთის ცხოვრებაში დავრჩით“, – განაცხადა ჟურნალისტმა.

ნანუკა ჟორჟოლიანსა და ერეკლე კოდუას ვაჟი საბა ჰყავთ.

**მალხაზ ქვრივიშვილისა** და **მარიამ ახობაძის** ოჯახს შექმნისთანავე უწინასწარმეტყველებდნენ დანგრევას, რადგან მარიამ ახობაძე მეუღლეზე გაცილებით უმცროსი ასაკის იყო. წყვილის დაშორების შესახებ, თბილისში გასულ წელს ალაპარაკდნენ, მაგრამ მალხაზ ქვრივიშვილი ამ თემაზე საუბრისგან ყოველთვის თავს იკავებდა, უფრო მეტიც ამბობდა, რომ ოჯახი არ დაუნგრევია. ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინა, როცა ცნობილი გახდა, რომ მარიამ ახობაძემ სკანდალურ მსახიობზე, ანრი ბიბინეიშვილზე იქორწინა. მათ თავიანთი სიყვარულის შესახებ საჯაროდ არაერთხელ ისაუბრეს.

2015 წელს ინტერნეტ-სამყარო ფეხბურთელ **ლაშა კალანდაძისა** და **მოდელ მარიამ ხორგუაშვილის** ფოტოებმა ააფეთქა. ქორწილის სურათებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, წყვილის სილამაზემ ყველა აალაპარაკა. მარიამსა და ლაშას ქორწილის ფოტოების გავრცელებამდე მხოლოდ ახლობლები იცნობდნენ. წყვილს რამდენიმე თვეში ვაჟი, დემეტრე შეეძინა, თუმცა მოულოდნელად დაშორდნენ. რა გახდა მათი დაშორების მიზეზი, უცნობია. ლაშა გართობაზე უარს არ ამბობს და ღამის კლუბებში ძმასთან და სხვადასხვა გოგონებთან ერთად დადის. გავრცელებული ინფორმაციით, ახლა უგუნდოდ არის დარჩენილი. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ისევ სათავისოდ გამოაყენებინეს „ნაცმოძრაობას“ კირკიტაძის ძმის დაკავების ფაქტი — რამე მაინც შეგიძლია, „ოცნება“?!



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი პარტიის წარმომადგენელ ირაკლი კირკიტაძის დაკავების ფაქტს პოლიტიკური ზეწოლისა და შანტაჟის მცდელობად აფასებს.

ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, ირაკლი კირკიტაძის დაკავება არის შერჩევითი სამართლის კლასიკური მაგალითი, რითაც ხელისუფლება ცდილობს, გარდაბნის გამგებლის არჩევნებზე, საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ დავით კირკიტაძეზე ზეწოლა განახორციელოს. (ინტერპრესნიუსი)

## დავით კირკიტაძის ძმას 4-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება



საქართველოს მთავარი პროკურატურა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ძმის, ირაკლი კირკიტაძის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია 4 იანვარს მომხდარი შემთხვევის დეტალებზე და ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის გამოყენების საჭიროებაზე.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ირაკლი კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 4 იანვარს, დაახლოებით 23:30 საათისთვის, ირაკლი კირკიტაძე ავტომანქანით მივიდა დიღმის მასივში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლთან, სადაც შეამჩნია მისთვის მიუღებელ ადგილზე მდგომი მეზობლის კუთვნილი ა/მანქანა. ირაკლი კირკიტაძე რამდენიმე წუთის განმავლობაში ჯერ უწყვეტი ხმოვანი სიგნალით, ხოლო შემდგომ უცენზურო სიტყვებით თავისთან უხმობდა ა/მანქანის მეპატრონეს. ხმაურზე მალევე მივიდა ა/მანქანის მეპატრონის შვილი, რომელსაც კირკიტაძემ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმავდროულად, ხმაურზე შეკრებილი სხვა მეზობლები და სტუმრად მყოფი პირები ამ უკანასკნელს სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ კირკიტაძემ დაწყნარების სანაცვლოდ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა, მანქანასთან მისულ მეპატრონის შვილს მოკვლით დაემუქრა და იარაღის ტარის მეშვეობით სხეულის დაზიანება მიაყენა. ამასთანავე, ის განაგრძობდა უმისამართო გინებას. მისი ამ ხულიგნური ქმედების აღკვეთა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ადგილზე მისული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ...

საქმეზე გრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს, – ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## „თურქული მხარე საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს“



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქული მხარე საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.

როგორც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში თემის კომენტირებისას განაცხადეს, აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა სხვადასხვა თურქულ საინფორმაციო საშუალებებში, მაგრამ საქართველოს საელჩოს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნული ფაქტი არ დაუდასტურეს.

თურქულმა გამოცემა „ჰაბერ იზმირმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თურქეთი სავიზო რეჟიმს 89 ქვეყანას დაუწესებს, მათ შორის საქართველოს, რუსეთსა და აზერბაიჯანს. (ნიუპოსტი)

## „თუ თქვენი ავტომობილის კარში მონეტას აღმოაჩენთ, იმოქმედეთ დაუყოვნებლივ!“



რუსეთში მანქანების გაძარცვის ახალ მეთოდს მიაგნეს – როგორც რუსული მედია წერს, ამისთვის ქურდები უბრალო მონეტას იყენებენ. სწორედ ამის გამო ავტომობილის მძღოლებს ურჩევენ, რომ სატრანსპორტო საშუალების კარის სახელური ყოველთვის ყურადღებით დაათვალიერონ:

– ვიდრე თქვენს საკუთარ ავტომობილში ჩაჯდებით, ყურადღებით დაათვალიერეთ კარი. მანქანის ქურდებმა ახალ ხერხს მიაგნეს. ისინი თქვენი მანქანის კარის სახელურსა და კარს შორის მონეტას ათავსებენ. თუ თქვენ მონეტას ვერ შეამჩნევთ, სიურპრიზი სახლში დაბრუნებულს გელით. როცა თქვენს ავტომობილს სიგნალიზაციის პულტის მეშვეობით დაკეტავთ, ეს მონეტა არ მისცემს საშუალებას ავტომობილის კარს, სრულფასოვნად ჩაიკეტოს. თქვენ იფიქრებთ, რომ მანქანა დაკეტეთ და მშვიდად წახვალთ. ქურდი კი მანქანის კარს ძალიან ადვილად გააღებს, – წერს რუსული მედია. (ნიუპოსტი)

ლაურა აბრამია
591 97-67-09



# ვინ და რატომ გალანძღა პატრიარქი შობა დღეს და რა საკითხებზე მუშაობს საპატრიარქო?





გუშინ, შობის დღეს ქართული ეკლესიისა და პირადად პატრიარქის მიმართ სოციალური ქსელებით გამოთქმულმა სალანძღავმა სიტყვებმა, საზოგადოება გააღიზიანა. ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, გიგი თევზაძე ირწმუნება, რომ საქართველოში შობის აღნიშვნა სიმართლე ისაა, რომ მაგ დროს სიონი საკათედრო ტაძარი იყო, ხოლო ის შენობა, სადაც ნინია კაკაბაძე და სხვა სტუმრები შეიპატიჟეს, პატრიარქის „სახლი“ კი არა, ერთ-ერთი რეზიდენციათაგანი იყო. რაც შეეხება „ხრუსტალს“ და ოქროულობას, ეს შენაწირი ნივთებია, ვერც გაყიდი, ვერც გააჩუქებ და წესის მიხედვით, საპატრიარქო რეზიშობის დღესასწაული ოკუპანტის დღესასწაულად მოიხსენია: როგორ შეიძლება, შობა დამპყრობლის დღესასწაულად მოიხსენიო? კი მაგრამ, ვისგან დაიპყრო მაცხოვარმა სამყარო, და თუნდაც საქართველო? ასეთი უპასუხისმგებლო საუბარი ყოვლად დაუშვებელია. სად გაგონილა, რამ ათქმევინა ეს, ვინც თქვა? ცოტა ცინიკურადაც მიმაჩნია ამაზე პასუხის გაცემა, ჩემს მიმართ კეთილგანწყობილიო, ახლა თქვენ განსაზღვრეთ დანარჩენი...

**— არ ფიქრობთ, რომ საპატრიარქომ ასეთ განცხადებებს პასუხი უნდა გასცეს?**

– მესმის თქვენი კითხვის არსი, საპატრიარქოს ჰყავს პრესცენტრი. დიახ, ვთვლი, რომ მათ უნდა გასცენ ამომწურავი პასუხი, ხალხის ინტერესთა სფერო რა კითხვებსაც მოიცავს, მაგრამ ოკუპანტების მხარდამჭერა ყოფილა, ჟურნალისტი ნინია კაკაბაძე კი „ფეისბუქზე“ წერს: „9-10 წლის ვიქნებოდი ალბათ, ახლობლების ჯვრისწერის შემდეგ, დედაჩემთან ერთად პატრიარქის სახლში (სიონის გვერდით) რომ აღმოვჩნდი. ბუნებრივია მაშინ ვერაფერი შევნიშნე და პირიქით, დიდი ინტერესით ვათვალიერებდი მის მისაღებ ოთახს, სადაც ყველანი მიგვიღო. როგორც ჩანს, დედაჩემიც პირველად იყო მასთან სტუმრად, რადგან იმ დღის მერე მახსოვს მისი აღშფოთებული საუბარი იმის თაობაზე, რომ პატრიარქი ასეთ სიმდიდრეში არ უნდა ცხოვრობდეს, რომ ოქრო თვალს არ უნდა გჭრიდეს მის ბინაში, რომ ძვირფასი ნივთებით გამოტენილი სახლი არ უნდა ქონდეს და რომ ეს მეშჩანობა და უზნეობაა. ხოდა მადლობა დედას სულ პატარაობიდან რომ მასწავლა ისეთი ჭეშმარიტებები, დღესაც რომ არ იციან ზრდასრულმა (დაბალ და მაღალჩინოსანმა) რეგვენებმა. მხოლოდ ის კი არა, რომ ძვირფასი ოქროს და „ხრუსტალის“ ნივთები უზნეობაა, არამედ ის რომ პატრიარქი უზნეო მეშჩანი იყო. ეს პოსტი კი უფრო დედაჩემს ეძღვნება, რომელიც საშინლად მაკლია და მენატრება!"

ბევრისთვის, ალბათ, დამაჯერებელია ეს ტექსტი, მაგრამ დენციაში ინახება. ახლა, ვინ გამოდის მეშჩანი?

რა ხდება, რამ გაამწარა და რატომ გააქტიურდნენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე ე.წ. ლიბერტარიენელები?

**„ალიას“ წმიდა სამების ტაძრის მღვდელმსახური, მამა ვახტანგი (კვიჟინაძე) ესაუბრა:**

**— მამაო, ამ ბრწყინვალე დღეს რატომ იგესლებიან „ლიბერასტები“, რა უნდათ ბოლოობოლო?**

– ეს ბრძოლა დიდი ხანია დაწყებულია, დამოუკიდებლობის დღიდან, 90-იანი წლები მაქვს მხედველობაში. კომუნისტების მიერ დაკნინებულმა სულიერებამ ფეხი აიდგა, საგრძნობლადაც გამყარდა, ხალხი მოაქცია ეკლესიისკენ. ერთმნიშვნელოვნად და ხელაღებით ამაზე პასუხი არ გვაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, იმართება ეს პროცესები. გარეშე ფაქტორები წარმართავს ამ პროცესებს, მაგრამ ეკლესიურად თუ გიპასუხებთ, ეშმაკისგანაა მართული. სხვა რა ვუწოდო ამ ყველაფერს, მაინცდამაინც ახლა, მაინცდამაინც მძიმე მარხვის ჟამს და ამ ბედნიერ და ბრწყინვალე დღესასწაულისას? ვურჩევ ყველას, დაე, არ აინტერესებდეთ პატრიარქი, თუ ტალახს ესვრიან, პასუხიც უნდა მოისმინონ. მე ასე ვუპასუხებ ადამიანს, ვინც არასერიოზულები არიან, პირველ რიგში. პატრიარქი საშობაო ეპისტოლეში სიყვარულზე საუბრობს ხაზგასმით, რომელიც მაცხოვრიდან მომდინარეობს. გამოდის, რომ ესენი არიან მტრები, მაგრამ მტერს სიყვარულით არ შევხვედრივართ განა? ესენი მტრები არიან, შეიძლება საქართველოს ეკლესიას დამპყრობლური უწოდო, როდესაც ის თანამდგომია ყველასი, ყველა კონფესიის, ყველა ერის წარმომადგენლის? ასეთი გაუაზრებელი საუბარი საქართველოს ეკლესიის მიმართ და მისი საჭეთმპყრობლის მიმართ ქვეყნის ღალატია და არა ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. ამ ადამიანებმა, პატრიარქს უნდა მიმართონ, ასე შორიდან კი ნუ ესვრიან ტალახს, ვინმეს სმენია, პატრიარქს ვინმე არ მიეღოს, არ მოესმინოს, უპასუხოდ დაეტოვებინოს? რა ველაპარაკოთ ახლა ასეთ ადამიანებს? რა ვასწავლოთ, რაც აქამდე არ უსწავლიათ? სახარებაში არის ნათქვამი, ოჯახი თუ თავისი თავის წინააღმდეგ მიდის, ის ოჯახი განწირულია დანგრევისთვისო. აი, სწორედ ეს უნდათ იმ მავანთ, აქ არის მტერი ნაგულისხმევი. ცნობილ ფილოსოფოს სოკრატეს უთხრეს: შენზე ასე და ასე ამბობენო, მან გაიცინა, შენ თავად მოისმინეო? არაო? შენი საქციელიც არააო აქვე დავსძენ, რომ აქ სწორი, მოზომილი და მართებული პასუხი უნდა იყოს გაცემული.

**— მამაო საეკლესიო საქმეებში ჩახედულნი დიდი ხანია საუბრობენ, რომ ეკლესია გასაწმენდია, რადგან არაერთი უღირსი ადამიანი მიეტმასნა მას, „ჯიპომანია“ და განცხრომა ბევრისთვის წესად იქცა. რამდენიმე ხნის წინ, ეკლესიიდან განიკვეთნენ მამაოები ნარკოდილერობისთვის. მრევლში ბევრია გაღიზიანებული ასეთი სასულიერო პირების თავგასულობის გამო. რატომ არ დაადგა ამ საკითხის მოგვარებას საშველი?**

– მე ასე გიპასუხებთ, მაცხოვართან თორმეტ მოციქულში იუდა იყო... განა მაცხოვარმა არ იცოდა, რომ იქ მოღალატე იყო? განა მან არ უთხრა იუდას, წადი, აღასრულე შენი საქმეო? ამ საკითხებზე სინოდი მუშაობს. ბოლო წლებში ბევრი უღირსი მოიკვეთა ეკლესიიდან. ასე არ ხდება, ადამიანზე შეიძლება ბევრი რამ ითქვას, მაგრამ სინოდი ასე არ მიიღებს გადაწყვეტილებას, ყველაფრის დასაბუთება ხდება. ეკლესია არ არის დამსჯელი ორგანო, ის უფლებამოსილებას უჩერებს, განკვეთა იშვიათ შემთხვევაში ხდება. ეკლესიის დანიშნულება ხომ ადამიანის ცოდვისგან ამოყვანაა?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შუალედური შედეგების მიხედვით ზაზა ფაჩულია მე-8 ადგილზეა




**All Star**-ის მატჩზე მოსახვედრად, **NBA**-იმ შუალედური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია 194 421 ხმით მერვე ადგილზე იმყოფება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანსა და „დალას მავერიკსის“ ძირითად ცენტრს ზაზა ფაჩულიას **NBA**-ის „ოლ სთარის“ მატჩში მონაწილეობის რეალური შანსი აქვს. ასეთ შემთხვევაში, ზაზა პირველი ქართველი კალათბურთელი იქნება, რომელიც **All Star**-ზე ითამაშებს.

იმისთვის, რომ ქართველი კალათბურთელი „ოლ სთარზე“ მოხვდეს **NBA**-ის საიტზე 24 საათში ერთხელ ხმის მიცემაა საჭირო. ზაზა ფაჩულიასთვის ხმის მიცემა „ფეისბუკის“ საშუალებითაც არის შესაძლებელი, 24 საათში ერთხელ, საჯარო პოსტის მეშვეობით დაპოსტეტ **#NBAVOTE Zaza Pachulia** და მხარი დავუჭიროთ ეროვნული ნაკრების კაპიტანს. ხმის მიცემა 18 იანვრამდეა შესაძლებელი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვაახ, თუ ხედავთ თქვენ, სადღესასწაულო დღეებშიც კი მუშაობს პროკურატურა...



მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე ე.წ. შეწყალების საქმის გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის ბრალდებებს გამოეხმაურა.

მისი თქმით, საქმის ჩაფარცხვაზე საუბარი ზედმეტია, როდესაც საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და პროკურატურას რაიმე შედეგზე ჯერ არ უსაუბრია.

– პრეტენზიებს ვერ გავიზიარებ. მიუხედავად სადღესასწაულო დღეებისა, გამოძიება მიმდინარეობს ძალიან ინტენსიურად, ყოველდღიურად ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, იმ ფაქტების გადასამოწმებლად, რაზეც მიუთითებს ალეკო ელისაშვილი. შესაბამისად, რაიმე ჩაფარცხვაზე საუბარი, როდესაც გამოძიების რაიმე შედეგებზე არ გვისაუბრია, არასწორია, – აღნიშნა შოთაძემ.

შეგახსენებთ, რომ შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა პროკურატურას „ჩაფარცხვის დაწესებულება“ უწოდა. (ნიუპოსტი)

## თბილისში ავტომობილი დაცხრილეს




დედაქალაქის ცენტრში ცარიელი ავტომანქანა დაცხრილეს. შემთხვევა თბილისში, ჩიქოვანის 24 ნომერთან დაახლოებით 12:00 საათზე მოხდა.

ადგილზე დილიდან კრიმინალისტები მუშაობდნენ და დაცხრილული მანქანა ექსპერტიზაზე უკვე გადაიყვანეს.

სავარაუდოდ, მანქანის მფლობელები ამავე კორპუსის მაცხოვრებლები არიან.

მეზობლებსა და თვითმხილველებს მომხდარის მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

მომხდარ ფაქტს შს სამინისტროც ადასტურებს. გამოძიება 236-ე მუხლით დაიწყო, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## რამდენიმე დღის წინ დაკარგული ქართველი მონადირეები დაღესტანში დააკავეს



ლაგოდეხში რამდენიმე დღის წინ დაკარგული 3 პირი დაღესტანში იმყოფება, – ამის შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურში აცხადებენ.

როგორც გამგეობაში განმარტეს, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, ისინი დაკავებულები არიან, თუმცა მიზეზი და სხვა დეტალები უცნობია.

– ვიცით, რომ არიან ცოცხლები. იმყოფებიან დაღესტანში. არიან დაკავებულები. სხვა დეტალები არ ვიცით. ახლა მივდივართ მათ ოჯახებში, რომ ეს ფაქტი შევატყობინოთ, – განაცხადეს გამგეობაში.

ლაგოდეხში სამ მონადირეს რამდენიმე დღეა ეძებენ. ოჯახების ინფორმაციით, 28 დეკემბერს 4 მონადირე სანადიროდ გავიდა, თუმცა მათგან უკან მხოლოდ ერთი დაბრუნდა, დანარჩენ სამთან დაკავშირება კი ვერ ხერხდებოდა.

ძებნის ღონისძიებაში ვერტმფრენი და თბილისიდან გაგზავნილი სამაშველო დამატებითი ჯგუფიც იყო ჩართული. (ინტერპრესნიუსი)

საინტერესო ამბები...

# საინტერესო და დამაფიქრებელი ეკოლოგიური ფაქტები



სპეციალურად ისეთი ფაქტები შეგირჩიეთ, რომლებიც მსოფლიოში დღეისთვის მიმდინარე ეკოლოგიურ ანომალიებს ძალიან მჭიდროდ უკავშირდება. დაფიქრება, ალბათ, ნამდვილად ღირს:

– იცით, რამდენი ადამიანი დაიბადა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე? მიახლოებითი გათვლებით, 2002 წლისთვის დედამიწას საერთო ჯამში, 106-დან 140 მილიარდამდე ჰომოსაპიენსი მოევლინა.

– 2025 წლისთვის წყლის საკმაოდ მწვავე ნაკლებობას 48 სახელმწიფოს დაახლოებით 2,8 მილიარდი ადამიანი იგრძნობს. 2050 წლისთვის წყლის მუდმივი პრობლემა 7 მილიარდ ადამიანს შეაწუხებს.

– მტკნარი წყლის 70 პროცენტი, რომელსაც ადამიანები იყენებენ, სოფლის მეურნეობის მორწყვაზე იხარჯება.



– ცოტა რთული დასაჯერებელი კია, მაგრამ ინტერნეტ-სივრცეში აბსოლუტურად ყველა საიტზე ასეთი მონაცემები გვხვდება: 1 კილოგრამი შოკოლადის წარმოებისთვის საჭიროა დაახლოებით 24 ათასი ლიტრი წყალი, 1 კილო ხორცისთვის – 15500; 1 კილო შაქრისთვის – 1500.

– დედამიწის ზედაპირის 38 პროცენტი გაუდაბნოების სერიოზული საშიშროების წინაშე დგას.

– ყველაზე მოკრძალებული გამოთვლების თანახმად, ბოლო 200 წლის მანძილზე ადამიანის ბრალეულობით დედამიწის ატმოსფეროში დაახლოებით 2,1 ტრილიონი ტონა ცეო 2 მოხვდა, რამაც ეკოსისტემა კატასტროფულად დააზიანა და სწორედ ამის შედეგებს ვიმკით ახლა.

– უკანასკნელი 50 წლის მანძილზე კანადის მუდმივმა გამყინვარებამ ჩრდილოეთისკენ 130 კილომეტრით დაიხია.

– 1980 წლიდან ელექტროენერგიის გლობალური მოხმარების მაჩვენებელი 7300-დან 17400 მილიარდ კილოვატ საათამდე გაიზარდა.

– 10 წლის შემდეგ ტოქსიკური ნარჩენების მოცულობა მსოფლიოში 500-ჯერ გაიზრდება. რა შედეგი მოჰყვება ამ ფაქტს, მეცნიერები კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

– მას შემდეგ, რაც ჰავაის სანაპიროზე ადამიანმა ფეხი პირველად დაადგა, მხოლოდ ფრინველთა 71 სახეობაა გადაშენებული.

– დღეის მდგომარეობით, დედამიწაზე პინგვინების 17 სახეობა არსებობს. მათ შორის, 12 სახეობის რაოდენობა კატასტროფული ტემპებით მცირდება.

– ისტორიამდელ პერიოდთან შედარებით, როცა ადამიანი ბუნებაზე მბრძანებლობას ვერ ახერხებდა, 2004 წლიდან ცოცხალი ორგანიზმების გადაშენების ტემპები დაახ-



ლოებით 1000-ჯერ გაიზარდა. წინასწარი გამოთვლებით, უახლოესი 20 წლის მანძილზე ეს პროცესი 10 ათასჯერ სწრაფი გახდება.

– დედამიწის ზედაპირის ფართობის დაახლოებით 75 პროცენტი წყალს უკავია. მთელი წყლის 97,5 პროცენტი ოკეანეებში გვხვდება და მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს მტკნარი წყალი. თავის მხრივ, მტკნარი წყლის 70 პროცენტი ყინულებშია კონცენტრირებული. დარჩენილ 30 პროცენტის უდიდესი ნაწილი დაბინძურებულია, სუფთად კი მხოლოდ 1 პროცენტის მიჩნევა თუ შეიძლება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოხმარებისთვის ვარგისი წყლის 70 პროცენტი ირიგაციაზე იხარჯება, 22 პროცენტს საწარმოები ინაწილებენ, სასმელად კი, ფაქტობრივად, აღარც არაფერი რჩება.

– ჰიმალაის ყინულების ფართობი ბოლო 50 წლის მანძილზე 16 პროცენტითაა შემცირებული.

– მეცნიერების გათვლებით, უახლოეს მომავალში შესაძლებელია, 5-დან 50 მილიონამდე სახეობის ცოცხალი ორგანიზმის გადაშენება მოხდეს. ამასთანავე, გადაშენების პირას მყოფი ცოცხალი ორგანიზმებიდან თანამედროვე მეცნიერებისთვის მხოლოდ 2 მილიონია ცნობილი.

– დაურღვეველი ეკოსისტემები ქვეყნების ფართობის დაახლოებით 2/3-ს შეადგენს. ევროპაში დაურღვეველი ეკოსისტემების ფართობი 3-4 პროცენტია და როგორც წესი, ასეთი ტერიტორიები განსაკუთრებული დაცვის ქვეშაა აყვანილი.

– ტყეების გაკაფვა და კლიმატური ცვლილებები იმ შედეგს გამოიღებს, რომ 90 წლის შემდეგ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ტყეების 2/3 და ასევე, აფრიკის ეკოსისტემის 70 პროცენტი კარდინალურად შეიცვლება და ფაქტობრივად, მცენარეებისა და ცხოველების განადგურებას გამოიწვევს.

– 1980-დან 2000 წლამდე სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ტერიტორიების 80 პროცენტი გაჩეხილი ტროპიკული ტყეების ადგილებზე ჩნდებოდა. ამ პერიოდში გაიჩეხა 1,3 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტყე (დაახლოებით ალიასკას ფართობი).

– დღიური ტემპერატურის ყოველი 1 გრადუსით მომატება აზიაში ბრინჯის მოსავალს 10 პროცენტით ამცირებს.

– 1912-დან 2007 წლამდე კილიმანჯაროს ყინულების მოცულობა 85 პროცენტით შემცირდა. ამასთანავე, მთელი დანაკარგების მეოთხედი 2000 წლის შემდგომ პერიოდზე მოდის. მეცნიერების განმარტებით, ყინულის საფარის ასეთი კატასტროფული ტემპებით დნობა ბოლო 11700 წლის მანძილზე არ დაფიქსირებულა.

– ადამიანი დედამიწის ზედაპირის 83 პროცენტს იყენებს. ამასთანავე, დარჩენილი ხელუხლებელი ტერიტორიის 88 პროცენტი უდაბნოსა და არქტიკულ რეგიონებზე მოდის.

– ვეფხვების რაოდენობა ბოლო 20 წლის მანძილზე 96,8 პროცენტით შემცირდა. დღეისთვის პლანეტის ველურ ბუნებაში დაახლოებით 3200 ვეფხვილა მოიძებნება. შედარებისთვის, 1990 წელს ამ ცხოველების რაოდენობა 100 ათასს აჭარბებდა.



– ყოველ წელიწადს გლობალური დათბობის ნეგატიური გავლენა დაახლოებით 350 ათასი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. 2020 წლისთვის ანალოგიური მიზეზის მსხვერპლთა რაოდენობა 5 მილიონამდე გაიზრდება.

*science.ru*

საინტერესო ამბები...

## ლიფტში გაჭედილმა ქურდებმა დახმარება... პოლიციას სთხოვეს



„ავს ნუ იზამ და ავისაც ნუ გეშინიაო“ – კურიოზული კრიმინალური შემთხვევა გასულ დღეებში კელნში დაფიქსირდა, სადაც ორი მამაძაღლი ქურდი ლიფტში გაიჭედა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ პოლიციის გამოძახება მოუხდათ.

როგორც ირკვევა, ქურდები მაღალსართულიანი შენობის ბოლო სართულზე განთავსებული ოფისის გასაძარცვად ადიოდნენ, თუმცა გზაში ლიფტმა უმტყუნათ და გაიჭედნენ. საბედნიეროდ, ლიფტი ისე ყოფილა მოწყობილი, რომ მისი გახსნა მხოლოდ სპეციალისტს თუ შეეძლო. შესაბამისად, კრიმინალებმა მას ვერაფერი მოუხერხეს.

საბოლოო ჯამში, ტელეფონზე პოლიციის ნომერი აკრიფეს და ერთ-ერთმა მათგანმა ოპერატორს ასე მიმართა:

– ალბათ, სულელურად ჟღერს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მეგობართან ერთად შენობაში უკანონოდ შეღწევას ვცდილობდი. სამწუხაროდ, მიზანს ვერ მივაღწიეთ და ახლა ლიფტში ვართ გაჭედილები...

პოლიციამ ცალტვინა ქურდები ჯერ გადაარჩინა, შემდეგ კი დააპატიმრა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები...

## შემუშავებულია საიდუმლო მეცნიერული თეორია... ჯეკპოტის მოსაგებად



არ გვეგულება ადამიანი, რომელიც ლატარიაში თანხის მოგებაზე არ ოცნებობდეს, მით უმეტეს, როცა საქმე რამდენიმე მილიონიან ჯეკპოტს ეხება.

როგორც ირკვევა, ბრედფორდის სამეფო უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) მეცნიერების ჯგუფმა ალბათობის თეორიის გათვალისწინებით, შეიმუშავა საიდუმლო თეორია და 5,3-მილიონიანი ჯეკპოტის ჩაჯიბვაც მოახერხა.

საინტერესოა, რომ თეორიის გამოგონებაზე მეცნიერები მთელი 4 წლის განმავლობაში წვალობდნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც იქნა, შრომა დაუფასდათ.

სამწუხაროდ, ეგოისტი მეცნიერები ბევრისთვის საოცნებო საიდუმლო თეორიას არ ამხელენ.

*rokf.ru*

საინტერესო ამბები...

## მასაჩუსეტსის შტატში მემკვიდრეობის მიღების უფლება... ცხოველებს ოფიციალურად მიეცათ



იმის გამო, რომ ბევრი ექსცენტრიკული და ეგოისტი მილიონერის მიერ მემკვიდრეობის შინაური ცხოველებისთვის დატოვებას დიდი უსიამოვნებები მოსდევს ხოლმე, მასაჩუსეტსის შტატის ხელისუფლებამ სპეციალური კანონი მიიღო.

მასში ნათქვამია, რომ შინაური ცხოველისთვის მემკვიდრეობის დატოვება კანონით დასაშვები ქმედებაა. თანხა უნდა გადაეცეს ერთ ადამიანს, რომელიც გარდაცვლილის ცხოველზე გულმოდგინედ იზრუნებს. გარდა ამისა, ცხოველისთვის დატოვებული მემკვიდრეობა მაქსიმუმ 2 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. დანარჩენი ქონება ანდერძის შემდგენელმა ნათესავებს, სახელმწიფოს, ან საქველმოქმედო ფონდებს უნდა დაუტოვოს.

– 2 მილიონი დოლარი სავსებით საკმარისია, რათა ერთი ცხოველის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდეს, – ნათქვამია ახალ კანონში.

ეეჰ, 2 მილიონი ერთი ცხოველის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს კი არა, ათ ადამიანს მაინც შეუცვლიდა ცხოვრებას რადიკალურად, მაგრამ სად არის...

*etotupo.ru*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## შესაძლებელია თუ არა შიშის მართვა?



უცნაურია, ყველაფრის მართვა თუ შეიძლება, რატომ არ ვართ რობოტები. თუმცა, შესაძლოა, არც ისე შორსაა დრო, როცა აღარაფერი აგვაღელვებს და აღარაფერი შეგვაშინებს. თუ რამე მსგავსი მაინც მოხდება, ღილაკს თითს დავაჭერთ და ჰოპ, შიში გამქრალია. სანამ ეს დრო დამდგარა ჩინეთის უნივერსიტეტის მკვლევრები თაგვებზე ატარებენ „შიშის გამორთვის" ექსპერიმენტს.

როგორც ირკვევა, ექსპერიმენტის დროს თაგვებს კატებისკენ, ან მელიებისკენ უბიძგებდნენ და აკვირდებოდნენ, როგორ ვითარდებოდა თაგვში შიშის გრძნობა.

თაგვების ტვინში აღმოაჩინეს ნეირონები, რომელიც შიშის გრძნობის გააქტიურებაზეა პასუხისმგებელი. გაირკვა, რომ შიშს, ასევე, გარკვეული სუნიც იწვევს. სუნის შეგრძნება მიეწოდება ტვინს, ამის შედეგად კი ნეირონები გამა-ამინოზეთოვან მჟავას გამოიმუშავებენ. ამის საწინააღმდეგოდ კი ნერონი, სახელად **SOM** საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს.

ექსპერიმენტის დროს თაგვებს მელიის შარდზე აყნოსვინებდნენ, რაც მღრღნელებში დაძაბულობას, კანკალსა და გულისცემის ვარდნას იწვევდა. როცა გამა-ამინოზეთოვანი მჟავა შედარებით ნაკლებად მუშაობდა, თაგვები სუნს ყურადღებას არ აქცევდნენ და არც შიშის გრძნობას განიცდიდნენ.ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შიშის შესწავლა ხელს შეუწყობს სხვადასხვა დაავადების მექანიზმის შესწავლას, რომლებიც ადამიანის ფსიქიკასთან არიან დაკავშირებული.

თუ სახეიროდ იქნება გამოყენებული და არა ადამიანის გრძნობებისგან დაცლისა და დაზომბებისთვის, კი ბატონო.

***rueconomics.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მდოგვი მამაკაცებს ვნებას უმძაფრებს — რომაელი ქალების საიდუმლო



ეს სანელებელი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას არა მხოლოდ თავისი პიკანტური გემოს, არამედ სამკურნალო და კოსმეტიკური თვისებების გამოც.

მდოგვის ლათინური დასახელება ითარგმნება, როგორც „მანათობელი ბალახი". ძველი რომაელები ამ ცხარე სანელებელს მარსის მაგიურ მცენარედ მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ მისი თესლი სიმბოლიზდებოდა ყველაფრის მხილველობასთან. მათ სჯეროდათ, რომ, თუ მდოგვს დალევდნენ დიდი რაოდენობით, უფრო გამჭრიახნი და შორსმჭვრეტელნი გახდებოდნენ. ქალები კი მდოგვს სხვა მიზნებისთვის იყენებდნენ – თავიანთ შეყვარებულებს, თუ ისინი მათ მიმართ გულცივნი ხდებოდნენ, საკვებში ურევდნენ, შედეგი კი, მართლაც, საოცარი იყო: ჩამქრალი ვნება და ლტოლვა ახალი ძალით იფეთქებდა და იღვიძებდა ხოლმე.

უძველესი დროის დიდმა მკურნალმა ავიცენამ პირველმა მისცა რეკომენდაცია ადამიანებს, გაეკეთებინათ მდოგვისგან სამკურნალო სახვევები ასთმის, სახსრებში ტკივილის, საჯდომი ნერვის ანთების დროს. ავიცენა ასევე ურჩევდა, მდოგვის სახვევები გაეკეთებინათ თავზე იმ ავადმყოფებისთვის, ვინც ლეთარგიულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ხოლო მდოგვის ბალახის წვენი ჩაეშვათ ყურში ტკივილის დროს და დაეწვეთებინათ მტკივნეულ კბილებზე.

დღეს მდოგვის საფენებს ხშირად იყენებენ გაციების, ფილტვების ანთების, პლევრიტის, მიოზიტის, ნევრიტის, რადიკულიტის, რევმატიზმების დროს. სითბოს ზემოქმედებით ქსოვილებში ძლიერდება სისხლის მიმოქცევა და ჩქარდება ნივთიერებათა ცვლა, რისი წყალობითაც ანთებითი პროცესები გაივლის. ბრონქიტისა და პნევმონიის დროს მდოგვის საფენებს ადებენ ზურგზე, ლარინგიტის დროს – კისრის წინა და ზედა ნაწილში, ტრაქეიტის დროს – მკერდზე. ჰიპერტონიით გამოწვეული თავის ტკივილისას მდოგვის საფენებს კისერზე ადებენ.



მდოგვის საფენების დამზადება ადვილად შეიძლება შინაურ პირობებშიც. ამისთვის საჭიროა, მდოგვის ფხვნილს შევურიოთ თბილი წყალი. იმისთვის, რომ მდოგვის სიცხარემ, მისმა სიმწვავემ კანი არ დააზიანოს, უნდა დავუმატოთ ფქვილი ან სახამებელი თანაბარი პროპორციით. ფქვილისებრი ნარევი უნდა დადოთ ქაღალდზე, დააფაროთ დოლბანდი და გააშროთ. წყალი უნდა გაათბოთ 40 გრადუსამდე – სწორედ ასეთ ტემპერატურაზე მდოგვის ფხვნილისგან გამოიყოფა ეთეროვანი ზეთი.

მდოგვის აბაზანები (ფეხებისთვის) სასარგებლოა გაციებისას, სახსრებში ტკივილის დროს, არტერიული წნევის მკვეთრი აწევისას, ძლიერი მოყინვისას. 1-2 კოვზ მდოგვის ფხვნილს უნდა დაესხას ცხელი წყალი (მაგრამ არა მდუღარე, თორემ მდოგვი დაკარგავს თავის ძალას). ფეხების დაორთქვლა უნდა გაგრძელდეს ნახევარი საათი. შემდგომ უნდა ჩაიცვათ თბილი წინდები და ჩაწვეთ საწოლში.

სურდოს თავიდან ასაცილებლად მშრალი მდოგვი 1-2 საათით უნდა ჩავიყაროთ წინდებში. მდოგვის გამოყენება შეიძლება ქერტლის საწინააღმდეგოდ. მას იყენებენ კოსმეტიკური მიზნებისთვისაც. ამ მწვავე, ცხარე მცენარის თესლისგან მიღებული ფხვნილით შეიძლება თავის დაბანა. ის კარგად მოქმედებს თმაზე – შესანიშნავად ასუფთავებს თავის კანს და ებრძვის ქერტლს. ძალიან სასარგებლოა მდოგვის აბაზანები ხელის მტევნებისთვის, ის ხელის კანს რბილსა და ნაზს ხდის.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ძლიერი ტრავმა შემოქმედებით უნარებს აღვიძებს



ყველას გეცოდინებათ მითი იმის შესახებ, რომ სერიოზული ტრავმის შემდეგ ადამიანში ახალი ნიჭი იღვიძებს. ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მითი რეალობას მოკლებული სულაც არ ყოფილა.

ფსიქოლოგებმა 300 ადამიანზე ჩაატარეს კვლევა და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ავადმყოფობის გადატანისა და გამოჯანმრთელების შემდეგ შემოქმედებითი უნარები აღმოაჩნდა.

ბევრმა ცნობილმა შემოქმედმა სწორედ ტრავმის შემდეგ დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება. მაგალითად შეგვიძლია, ფრიდა კალო მოვიყვანოთ, რომელიც ავარიის შემდეგ ცნობილი ფერმწერი გახდა.

სპეციალისტების აზრით, დაავადებასთან ბრძოლა ადამიანში საკუთარი თავის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს, რაც ეხმარება კიდეც აქამდე გაუცნობიერებელი ნიჭის აღმოჩენაში.

ამას ემატება მადლიერების გრძნობა იმ ადამიანებისადმი, ვინც ავადმყოფობის დროს მასთან იყვნენ, ასევე, საავადმყოფოში ყოფნა და დაავადებასთან მუდმივი ჭიდილი ადამიანს პრობლემებთან გამკლავებას ასწავლის.

მართალია, ყველაში არ იღვიძებს პოსტტრავმული ნიჭი, ასე ძირითადად იმ ადამიანებს ემართებათ, ვისაც მანამდეც ჰქონდათ რაღაც სახის შემოქმედებითი მისწრაფებები. თუმცაღა სხვა პაციენტებსაც მსგავსი დასკვნები იმედს აძლევს, ბრძოლის უნარს უორმაგებს და კრიზისიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას სთავაზობს.

***365news.biz***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## დამტკიცებულია — საკვები დამოკიდებულებას იწვევს



ხომ ბევრჯერ გაგიგიათ ფრაზა – დღეში ერთხელ მაინც შოკოლადი რომ არ ვჭამო, ისე არ შემიძლია. რა განსხვავებაა ნარკომანებსა და „შოკომანებს" შორის? – არანაირი. თურმე საკვებიც იგივენაირ დამოკიდებულებას იწვევს, როგორც ნარკოტიკი. ვიღაცისთვის შოკოლადია დღიური აუცილებელი ნორმა, ვიღაცისთვის ყველი, ძეხვი და ასე შემდეგ.

სპეციალისტების თქმით, გარკვეული პროდუქტების გამოყენებით გამომუშავდება ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა სეროტონინი და დოფამინი. ისინი ეიფორიას იწვევს, რომელზე უარის თქმაც ადამიანს არ შეუძლია.

თურმე, მღრღნელები იმისთვის, რომ სასურველი საკვები მიეღოთ, გაუსაძლის ტკივილებს იტანდნენ. ადამიანიც ზუსტად ასე იქცევა.

მიუხედავად სრულფასოვანი კვებისკენ ექიმების მუდმივი მოწოდებისა, ადამიანებს არ შეუძლიათ შეჩვეულ და საყვარელ საკვებზე უარის თქმა.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## აქტიური ურთიერთობები და ვარჯიში... ერთი და იგივეაო



მთელი ცხოვრება რომ დიეტაზე ვიყოთ და ვივარჯიშოთ, თუ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან კარგ ურთიერთობას არ შევინარჩუნებთ, შედეგი მაინც არ გვექნება. მხოლოდ კარგი ურთიერთობითა და დადებითი ემოციის გაცვლით კი შეგვიძლია, დიეტისა და ვარჯიშის ეფექტი მივიღოთ.

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის ექსპერტების აზრით, თუ მეზობლებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან და თუნდაც უბრალო ნაცნობებთან კარგი ურთიერთობა გვექნება არა მხოლოდ ფიზიკურად, ფსიქოლოგიურადაც ჯანმრთელები ვიქნებით.

აი, მაგალითად, თუ ქალს მეგობრები ჰყავს და შეუძლია თავის პრობლემებზე ისაუბროს და გაუზიაროს, ამით ის მოიხსნის დაძაბულობას, განწყობას აიმაღლებს და ემოციურ ბალანსსაც აღიდგენს. მამაკაცებო, ნუ ეჭვიანობთ საყვარელი ქალის მეგობრებზე, პირიქით, მხარი დაუჭირეთ მათ ურთიერთობას.

ასე რომ, სოციალური ურთიერთობების მხარდაჭერას ფიტნესისა და სწორი კვების ტოლფასი შედეგი აქვს.

***myjane.ru***



ბარში ორმა მეგობარმა ლუდი შეუკვეთა, ერთმა კი დაამატა:

– ლუდი სუფთა კათხით მომიტანეთ!

ოფიციანტმა კლიენტებს შეკვეთა მალევე მიუტანა და ჰკითხა:

– სუფთა კათხით რომელს გინდოდათ?..

*****

ქმარი ცოლს ნოტაციებს უკითხავს:

– აი, წარმოიდგინე, რომ უეცრად ავდექი და სმას თავი დავანებე, შენი აზრით, საიდან გაიგებენ ჩემი ძმაკაცები ღამის 2 საათზე, რომ ყველა ძალიან მიყვარს, ვაფასებ და პატივს ვცემ?!

*****



ერთი ოფიციანტი მეორეს ჭკუას არიგებს:

– კაცო, შეეშვი ნასვამი კლიენტების გარეთ გაგდებას. როგორც ჩანს, გავიწყდება, რომ ვაგონ-რესტორანში მუშაობ!!!

*****

ჩინელებმა პენტაგონის სერვერი გატეხეს და აი, როგორ:

1. თითოეულმა ჩინელმა ერთი პაროლის ჩაწერა სცადა;

2. პაროლის ველში ყველამ „მაო ძედუნი" ჩაწერა;

3. 74357181-ე მცდელობაზე სერვერი დაეთანხმა, რომ პაროლი „მაო ძედუნი" იყო...

*****

– შეფ, 3 დღით შვებულება მინდა.

– რატომ?! ახლა არ დაბრუნდი შვებულებიდან?!

– ცოლი მომყავს.

– და არ შეგეძლო, ცოლი შვებულების დროს მოგეყვანა?!

– არა! არ მინდოდა, დასვენების დღეები ჩამშხამებოდა!..

*****

დედამ ვაჟი ექიმთან მიიყვანა:

– ექიმო, ძალიან გთხოვთ, ნახეთ, რა სჭირს ბავშვს კუტუებზე?

ექიმი:

– ესე იგი, ამ მომენტიდან კუტუებს პენისს ვარქმევთ და ვიწყებთ სიფილისის მკურნალობას!..

*****



– ქმართან ვიჩხუბე... შური რომ მეძია, წვნიანში ვიაგრა ჩავუგდე... ოხ, როგორ დამდევდა, როგორ მეხვეწებოდა შერიგებას...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჩემოდანი პატრონს თავისით მოძებნის



მართალია, არც ყურშა მოუხდება სახელად და არც ბათურა, რადგან ასე ძაღლებს ეძახიან ხოლმე, მაგრამ სწორედ ამ ცხოველივით შეუძლია საკუთარი პატრონის ამოცნობა უამრავ ადამიანში.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, საუბარია ჩემოდანზე, უფრო სწორად, რობოტ ჩემოდანზე, რომელმაც ესპანეთში გამართულ გამომგონებელთა კონკურსში ერთ-ერთი მთავარი პრიზი დაიმსახურა.

ჭკვიან ჩემოდანს შეუძლია, თავისით გაჰყვეს პატრონს, სანამ ის მოგზაურობას არ დაასრულებს.

ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობა ჩემოდანმა მასში ჩამონტაჟებულ ბლუთუზ-მიმღებით შეიძინა, რომელიც მუდმივად მომხმარებლის სმარტფონთანაა დაკავშირებული.

სწორედ ასეთი მოწყობილობის დახმარებით შეუძლია ჩემოდანს, პატრონი თუნდაც, მილიონ ადამიანს შორის ამოიცნოს და მასთან მიგორდეს კიდეც.

იმ შემთხვევაში, თუკი უსადენო კავშირი ტელეფონსა და ჩემოდანს შორის დაირღვევა, ეს უკანასკნელი ადგილზევე ჩერდება, ბლოკავს ყველა გასაღებს, რა დროსაც ტელეფონი ვიბრირებას იწყებს.

ჯერჯერობით ჭკვიანი ჩემოდნის სერიულ წარმოებაში გაშვების შესახებ არავინ არაფერს ამბობს, თუმცა მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, ალბათ, ესეც მალე მოხდება.

*wordscience.ru*

## იაპონელებმა ბაქტერიების გაწვრთნა შეძლეს



სტუდენტების ჯგუფმა ტოკიოს უნივერსიტეტიდან ბაქტერიების კონტროლის სისტემა შეიმუშავა. მართალია, ჯერჯერობით ისინი მხოლოდ ერთი-ორი ბაქტერიის კონტროლს თუ ახერხებენ, თუმცა მთავარია, რომ პრინციპი ნაპოვნია.

სტუდენტებმა თავიანთი გამოგონების საფუძვლად ცნობილი თავსატეხი - სუდოკუ გამოიყენეს, რითიც ბაქტერიებს ლოგიკური დავალებების შესრულების უნარი შესძინეს. ეს კი, თავის მხრივ, მათი „გაწვრთნის“ საშუალებასაც გამოიღებს.

სიახლის ავტორების განმარტებით, სუდოკუს არცთუ რთული წესები აქვს. აქედან გამომდინარე, გამოითქვა ვარაუდი, რომ ბაქტერიები თავსატეხის დაძლევას შეძლებდნენ. ექსპერიმენტისთვის მოძრაობის სპეციალური სქემა შეიქმნა, რომელშიც 16 სახეობის ბაქტერიამ მიიღო მონაწილეობა, დავალება კი წარმატებით ოთხმა შეასრულა. კერძოდ, ერთმანეთისგან განცალკევებულ ბაქტერიებს სხვადასხვა მიმართულებას აძლევდნენ, მიზანს კი ერთად მოგროვება წარმოადგენდა.

სპეციალისტებით თქმით, სამომავლოდ ბაქტერიების ასეთი გაწვრთნა იმ შედეგს გამოიღებს, რომ სხვადასხვა დაავადების გასანადგურებლად ისინი მიზანს აუცილებლად მიაღწევენ და სისხლძარღვებში არ დაიკარგებიან.

*tainamira.ru*

## ამერიკელებმა „ჭკვიანი“ ქირურგიული ძაფი გამოიგონეს



სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ ამერიკელი მეცნიერების წყალობით, მსოფლიოს ძალიან ბევრი უსაზღვროდ საჭირო რამ აქვს შეძენილი. ამ შემთხვევაში მათი გამოგონება მედიკოსებსა და მათ პაციენტებს მოუგვარებს პრობლემებს.

საუბარია ახალ „ჭკვიან“ ქირურგიულ ძაფზე, რომლის ფუნქციებიც ძალიან რთული და მრავალგვარია.

ქირურგიულ ძაფს ბევრი თვისება უნდა ჰქონდეს, მაგალითად, უნდა იყოს მტკიცე, მოსახერხებელი, პლასტიკური, ასევე, ჰიპოალერგენული. არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებაა – ორგანიზმში გაწოვა.

მოკლედ, ქირურგიული ძაფი უშუალო კონტაქტში შედის ჭრილობასთან და სწორედ ამან უბიძგა ამერიკელ პროფესორ ჯონ როჯერსს, შეექმნა ისეთი ძაფი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა თვალყურის მიდევნება შეხორცების პროცესსა და ქსოვილების მდგომარეობაზე. პერსპექტივაში ძაფმა შეხორცების სტიმულირებაც უნდა მოახდინოს.

როჯერსის ძაფი პოლიმერულ მასალაზეა დაფუძნებული მასში ინტეგრირებული სენსორებით, რომლებიც ერთმანეთთან ოქროს გამტარებითაა მიერთებული. ასეთი კონსტრუქცია ძაფის მოხერხებულობასა და ადვილად დამყოლობას უზრუნველყოფს.

სენსორები, რომლებიც გამოგონებაში გამოიყენება, ორი ტიპისაა: პლატინისა და კაჟის ტემპერატურული სენსორული დიოდები. ისინი ტემპერატურის ცვლილებაზე რეაგირებენ და საშუალებას იძლევიან, ქირურგმა აკონტროლოს, როგორ ხორცდება ჭრილობა და ხომ არ არის მასში ინფექციის კერები. ძაფის გამათბობელი ელემენტი კი ჭრილობის შეხორცების პროცესს აჩქარებს.

პირველი პაციენტები, რომლებზეც სიახლე გამოსცადეს, ლაბორატორიული თაგვები იყვნენ და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სწავლულებს სურდათ, თუმცა ჯერჯერობით მისი გამოცდა ბოლომდე მიყვანილი არ არის.

*meganauka.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**8 იანვარი:** კარგი დღეა ახალი განცდების შესაცნობად. კარგად დაფიქრდით, რა გენატრებოდათ ამ დღეებში და სცადეთ, იქნებ გამოგივიდეთ.

**კურო 22.04-21.05**

**8 იანვარი:** ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეძლებთ თქვენთვის სასურველი ადამიანებით თქვენს გარშემო მობილიზებას. იცით მაინც, რა გინდათ მათგან?

**ტყუპები 22.05-21.06**

**8 იანვარი:** თქვენს გარშემო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება, თუმცა შესაძლოა, ეს თქვენ არ შეგეხოთ, თუკი თავად არ მოინდომებთ სხვაგვარად.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**8 იანვარი:** საკმაო ენერგია გექნებათ მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა შეიძლება ამის სურვილი არ გქონდეთ. მოკლედ, წარმატება ხელის გაწვდენაზეა.

**ლომი 23.07-22.08**

**8 იანვარი:** მყარად გექნებათ წარმოდგენილი, რისი მიღება გინდათ თქვენი შრომის შედეგად. სურვილს აისრულებთ, თუკი საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვს არ შეიტანთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**8 იანვარი:** შეიძლება რაღაც მისტიკურმა შესაძლებლობებმა გაიღვიძოს თქვენში. მაქსიმალურად ფრთხილად იყავით, გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**8 იანვარი:** იპოვით პასუხს კითხვაზე, რომელიც რამდენიმე დღეა, გაწუხებთ, თუმცა ამას საკმაო მონდომება და ძალისხმევა დასჭირდება.

**მორიელი 23.10-21.11**

**8 იანვარი:** გარშემომყოფნი თქვენს მოქმედებებს განსაკუთრებული ინტერესით დააკვირდებიან. ეცადეთ, წინდახედულად იმოქმედოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**8 იანვარი:** შეიძლება საკუთარი საქმეები გვერდზე გადადოთ და ვიღაცის ინტერესებზე იზრუნოთ. ამაში ვერავის დაადანაშაულებთ, საკუთარი თავის გარდა.

**თხის რქა 22.12-19.01**

**8 იანვარი:** თუ სტუმრებს დაპატიჟებთ, ან თავად ესტუმრებით ვინმეს, ნამდვილად არ მოიწყენთ. მხიარულება დღეს ყველაზე შესაფერისი პროცესია.

**მერწყული 20.01-18.02**

**8 იანვარი:** შეიძლება ხელი მოკიდოთ საქმეს, რომლის კეთების პროცესიც მწყობრიდან გამოგიყვანთ. შეეცადეთ, ამის გამო ახლობლებს არ აწყენინოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**8 იანვარი:** კარგი იქნება, თუკი სახლში იფუსფუსებთ და თქვენთვის სასიამოვნო საქმეს გააკეთებთ. მთავარია, არ გადაიღალოთ და საღამოსთვის ენერგია შემოინახოთ.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## იტალიელი მაფიოზი მარტოობის გამო... პოლიციას ჩაბარდა



კი, ბატონო, „მარტოკაცი ჭამაშიაც ცოდოა“, მაგრამ, თუ ისეთი ცოდო იყო, რომ თავისუფლებას ციხეზეც გაცვლიდა, ამას კი ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით?

როგორც ირკვევა, იტალიური მაფიოზური დაჯგუფების წევრი პოლიციას საკუთარი სურვილით დაუკავშირდა და სთხოვა, ციხეში ჩაესვათ, რადგან თავს ძალიან მარტოსულად გრძნობდა.

ბუნებრივია, პოლიციას პრანჭვა-გრეხა არ დაუწყია, არც მადლობა უთქვამს მაფიოზისთვის, რადგან ის არაერთი დანაშაულის გამო იძებნებოდა და მაშინვე ციხეში უკრა თავი.

იტალიური მედიის ინფორმაციით, მაფიოზს ულიარებია, რომ ციხეში თავს ისე მარტოსულად არ გრძნობს და ურჩევნია, საკანში იჯდეს. ასევე, ცნობილი ხდება ისიც, რომ, როცა პოლიცია მაფიოზის დასაკავებლად მივიდა, სამართალდამცველებს ის... ჩაეხუტა.

მოკლედ, „კუზიანს მხოლოდ სამარე გამოასწორებს“, სხვა საშველი არ არის!..

*vesti.kz*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




შერლოკ ჰოლმსი და ექიმი უოტსონი ბეიკერ-სტრიტზე სეირნობენ. ჰოლმსმა მოულოდნელად მეგობარს მიმართა:

– უოტსონ, დარწმუნებით შემიძლია გითხრა, რომ აი, იმ ქუჩის კუთხეში მაგრად გაგლახავენ!..

მიუახლოვდნენ მითითებულ ადგილს და უოტსონი მართლაც გემოზე გაილახა...

– საიდან მიხვდით, ჰოლმს, რომ მცემდნენ?

– ელემენტარულია, უტსონ – გუშინ ამ ადგილას შენს ტანსაცმელში გამოწყობილი მოვედი, ყველას ვაგინე და გაქცევა მოვასწარი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 211359457

კვირის ქრონიკა

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
**მიხეილ სახვაძე**
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 00.41